www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 2 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3125 (218) | ფასი 50 თეთრი

## მიხეილ სააკაშვილი: არჩევნები შედგა



გუშინ, საღამოს, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ეგზიტპოლების პირველადი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოსახლეობას მიმართა. მან არჩევნებში მონაწილეობისთვის ყველას მადლობა გადაუხადა.

**"ძვირფასო თანამოქალაქენო, როგორც იცით, დღეს ჩვენმა აბსოლუტურმა უმეტესობამ მიიღო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## ეგზიტპოლის შედეგები

გუშინ, საღამოს, ქართული ტელეკომპანიებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ეგზიტპოლების შედეგები გამოცხადდა. "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ინფორმაციით, რომელმაც კვლევა GFK-ს შეუკვეთა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ეგზიტპოლის საბოლოო შედეგები ასეთია:

- "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 33 პროცენტი;
- "ქართული ოცნება" - 33 პროცენტი;
- "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" - 2 პროცენტი;
- "ლეიბორისტული პარტია" - 1 პროცენტი;
- უარი პასუხზე - 30 პროცენტი;

გერმანული კვლევითი კომპანია GFK მაჟორიტარული წესით არჩევნების ეგზიტპოლს არ აწარმოებს.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ეგზიტპოლების საბოლოო შედეგების მიხედვით კი, პროპორციული სიებით კოალიცია "ქართული ოცნება" საპარლამენტო არჩევნებს 50 პროცენტით იგებს. "ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" ამომრჩეველთა ხმების 41 პროცენტი მიიღო, "ქრისტიან დემოკრატებმა" - ხმების 5 პროცენტი, დანარჩენ პარტიებზე კი ხმების 4 პროცენტი გადანაწილდა. სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის დაკვეთით, საარჩევნო უბნებზე გამოკითხვა კომპანია "ედისონ რისერჩმა" აწარმოა.

რაც შეეხება ტელეკომპანია "მაესტროს" მიერ ჩატარებულ ეგზიტპოლს, მისი მიხედვით, საქართველოს მასშტაბით შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- "ქართული ოცნება" - 63 პროცენტი;
- "ნაციონალური მოძრაობა" - 27 პროცენტი;
- "ქდმ" - 1 პროცენტი;
- სხვა პარტიები - 3 პროცენტი;

თბილისის მონაცემები კი ასეთია:

- "ქართული ოცნება"- 75 პროცენტი;
- "ნაციონალური მოძრაობა" - 18 პროცენტი;
- "ქდმ" - 1 პროცენტი;
- სხვა პარტიები - 2 პროცენტი;

"მაესტრომ" ეგზიტპოლების ჩატარება ოქსფორდის უნივერსიტეტს დაუკვეთა. გამოკითხვა ჩატარდა 70 ოლქის 259 უბანზე.

## "ნაციონალები" "მყარ უმრავლესობას" ელიან

ნათია მსხილაძე



"ნაციონალური მოძრაობის" მედიაცენტრში, რომელიც 9:00 საათზე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნა, საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ განცხადებები კეთდებოდა. ჩიორა თაქთაქიშვილის განმარტებით, პროვოკაციების თავიდან აცილების მიზნით, "ნაციონალურმა მოძრაობამ" მხარდამჭერებისა და პარტიის წარმომადგენლებისთვის წელს განსაკუთრებული ზომები მიიღო.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## "ოცნება" ზეიმობს



"ქართული ოცნების" მხარდამჭერები და წევრები ეგზიტპოლის პირველადი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ თავისუფლების მოედანზე შეიკრიბნენ. შეკრებილ გულშემატკივრებს პირველად კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მიმართა, მან მხარდამჭერებს თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა და გამარჯვება მიულოცა. ოვაციების და შეძახილების ფონზე შეკრებილების წინაშე სიტყვით კომპოზიტორი ჯემალ სეფიაშვილიც გამოვიდა, შემდეგ კი სიმღერა "გაზაფხული შემოსულა ლენ" შეასრულა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6593 |
| 1 ევრო | 2.1461 |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.6881 |
| 1 თურქული ლირა | 0.9249 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3670 |

| | |
|---|---|
| თბილისი | 26°C - 17°C |
| ქუთაისი | 33°C - 20°C |
| თელავი | 27°C - 13°C |
| ზუგდიდი | 32°C - 18°C |
| ბათუმი | 29°C - 20°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 3.14 | +0.00 | +0.09% |
| გაზი | 3.48 | +0.00 | -0.03% |
| ოქრო | 1,780.00 | -3.30 | -0.19% |
| ხორბალი | 881.00 | -3.25 | -0.37% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

ISSN 1987 9121

## ტიმოშენკოს ვიდეომიმართვა

სალომე ჯანიაშვილი

უკრაინის ყოფილმა პრემიერმა იულია ტიმოშენკომ, რომელიც სასჯელს იხდის, მაგრამ ამჟამად ხარკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადის, საკუთარ თანამოქალაქეებს მოუწოდა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე უკრაინის არსებულ ხელისუფლებას მხარი არ დაუჭირონ. ამის შესახებ ინფორმაცია მან თავის ვიდეომიმართვაში გაავრცელა, რომელიც მისი პარტიის - "ბატკივშინას" საიტზე გამოქვეყნდა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე



## კიევური მედლების ტორტი თავისუფლებისგან

გიგა გურასაშვილი

*"უკრაინის სომეხთა კავშირის თასის" გათამაშებაში, რომელსაც 29-30 სექტემბერს კიევის სპორტის სასახლემ უმასპინძლა, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზა და ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველი თავისუფლები უკრაინის დედაქალაქს ხუთკაციანი შემადგენლობით ეწვივნენ.*



კიევის ხალიჩაზე არ გამოსულან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, პეკინისა და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი გიორგი გოგშელიძე (96 კგ.), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპისა და პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ოთარ თუშიშვილი (66 კგ.) და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი დავით მოძმანაშვილი (120 კგ.).

გაგრძელება
მე-12 გვერდზე

## კანდიდატებმა საკუთარი არჩევანი დააფიქსირეს

საპარლამენტო არჩევნებში საკუთარი პოზიცია იმ ადამიანებმაც დააფიქსირეს, რომელთა შორისაც დანარჩენი მოსახლეობა აკეთებდა არჩევანს. კანდიდატებმა ხმა მისცეს "საქართველოს წინსვლასა და მომავალს"; მხოლოდ სადავოა, ვინ სად ხედავს ამ მომავალს.

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიის პირველმა ნომერმა დავით ბაქრაძემ არჩევანი მთაწმინდის ოლქის საარჩევნო უბანზე დააფიქსირა. "დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი და ჩვენი ამომრჩეველი სწორ არჩევანს გააკეთებს და ამ არჩევანით მოგებული დარჩება ჩვენი ქვეყანა. მე ხმა მივეცი საქართველოს წინსვლას, საქართველოს განვითარებასა და საქართველოს," - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ბლოკ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" საარჩევნო სიის პირველი ნომერი კახი კალაძე ხმის მისაცემად საბურთალოზე, საირმის ქუჩაზე, 64-ე საარჩევნო უბანზე მივიდა. "მე გავაკეთე არჩევანი ჩემი ქვეყნის ნათელი მომავლისთვის, სადაც თითოეული მოქალაქის ღირსება იქნება დაცული და ყველას ექნება საშუალება, მიიღოს ხარისხიანი განათლება და ხარისხიანი ჯანდაცვა, იცხოვროს ღირსეულად," - განაცხადა კალაძემ.

"ნამდვილ დემოკრატიას" მისცა ხმა "ქართული ოცნების" ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამაც. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავას თქმით კი, მან არჩევანი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების განმტკიცების სასარგებლოდ გააკეთა. "მშვიდობიანი, თავისუფალი და სამართლიანი ქვეყანა" აირჩია "ქრისტიან-დემოკრატმა" გიორგი თარგამაძემაც, თუმცა კანდიდატებს არ დაუსახელებიათ, კონკრეტულად რომელი ნომერი შემოხაზეს. მხოლოდ საარჩევნო კაბინიდან გამოსულმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ მან ხმა "ლეიბორისტულ პარტიას" მისცა.

## უცხოელ დიპლომატთა მოლოდინები

"არჩევნების შედეგები ქართველ ამომრჩეველთა ხელშია," - ამის შესახებ აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა გუშინ საბურთალოს ოლქის #26-ე უბანზე დაკვირვების შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, არჩევნების პროცესში ნამდვილი კონკურენცია იგრძნობა.

"განცხადებებისა და პროგნოზების მიუხედავად, წინასწარ არავინ იცის, რა შედეგებით დასრულდება დღევანდელი არჩევნები. არჩევნების შედეგები დამოკიდებულია თითოეული ქართველის ხმაზე. ჩვენ, როგორც დამკვირვებლებს, თხოვნით მოგვმართეს, რათა განვახორციელოთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის მონიტორინგი და შეტყობინება გავაკეთოთ ნებისმიერი დარღვევის შესახებ. ვიმედოვნებთ, დარღვევებს ადგილი არ ექნება, მაგრამ თუ ასეთი დაფიქსირდება, ჩვენ მათ შესახებ განვაცხადებთ, განურჩევლად იმისა, ვის მიერ იქნება დაშვებული დარღვევა. ყველას სურვილია, მიღწეულ იქნეს არჩევნების სარწმუნო შედეგები. ყველა მხარის შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ ისინი პატივს სცემენ სარწმუნო პროცესის შედეგებს და მხარდამჭერებსაც ამავეს მოუწოდებენ. ამას მოველით ჩვენ, ამას ელის და იმსახურებს ქართველი ხალხი. ჩვენ საზოგადოებას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ, ნდობისა და მოთმინებისაკენ მოვუწოდებთ, ვიდრე შედეგები დაითვლება და ნებისმიერი სირთულის სათანადო შეფასება მოხდება. ქართველები უნდა ამაყობდნენ დღევანდელი დღით. საერთაშორისო საზოგადოება კვლავინდებურად საკუთარ წვლილს შეიტანს საქართველოს დემოკრატიისა და ქართველი ხალხის მხარდაჭერაში," - განაცხადა ნორლანდმა.

დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების ელჩები კი ამომრჩევლის მაღალ აქტივობაზე საუბრობენ.

"პროცესის შეფასება ჯერჯერობით ნაადრევია, თუმცა საარჩევნო პროცესის შესახებ კარგად ვართ ინფორმირებულები. საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა შეინიშნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და კარგია," - აღნიშნავს ბრიტანელი დიპლომატი ჯუდიტ გოფი.

საარჩევნო გარემოს კონკურენტუნარიანობაზე ამახვილებს ყურადღებას ჰოლანდიის ელჩიც. როგორც პიტერ ლანგერბერგმა განაცხადა, წინა არჩევნებთან შედარებით, გუშინ ბევრად განსხვავებული საარჩევნო გარემო და რეალური კონკურენცია იყო.

## ნატო საქართველოში "დემოკრატიის გამოცდას" აკვირდება

ნატო-ს გენერალური მდივანი საქართველოში მიმდინარე საპარლამენტო არჩევნებსა და დაგეგმილ საპრეზიდენო არჩევნებს დემოკრატიის გამოცდას უწოდებს, - ამის შესახებ ნატო-ს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

"მქონდა შესაძლებლობა, წინასაარჩევნო პერიოდი საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად განმეხილა. დარწმუნებული ვარ, ლიდერები ყველაფერს გააკეთებენ, რათა არჩევნები საქართველოში იყოს თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე. დასაფასებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან ბევრი უცხოელი დამკვირვებელი მიიწვია," - აცხადებს ანდერს ფოგ რასმუსენი.

ნატო-ს გენერალური მდივნის თქმით, საქართველო დემოკრატიის გზით ვითარდება, თუმცა, არჩევნები დემოკრატიის მთავარი განმსაზღვრელია, ამიტომ 1-ელი ოქტომბერი საქართველოსთვის მისალოცი დღეა.

# უწყებათაშორისი კომისია: ამომრჩეველს ჰქონდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება



გუშინ საარჩევნო პროცესს, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებთან ერთად, უწყებათაშორისი კომისიაც აკვირდებოდა. კომისიაში დილიდან ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, სადაც პოლიტიკური სუბიექტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე მოქალაქეების პრობლემები ფიქსირდებოდა. ამ ინფორმაციას კომისიის წარმომადგენელი თამარ კინწურაშვილი დღის მანძილზე ავრცელებდა. კინწურაშვილის შეფასებით, საარჩევნო პროცესი, საერთო ჯამში, მშვიდ და წყნარ გარემოში ჩატარდა, ამომრჩეველს ჰქონდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება, თუმცა დაფიქსირდა დარღვევებიც. როგორც მან აღნიშნა, შენიშვნები, ძირითადად, საარჩევნო კომისიის ფუნქციონირებას ეხებოდა.

**"ფიქსირდებოდა ბიულეტენების ნაკლებობა საარჩევნო უბნებზე, რაც აღმოფხვრილია. ეს გამოიწვია სპეცუბნების არსებობამ, რომლებშიც უცხოეთში მყოფი მოქალაქეები აძლევენ ხმას,"** - განაცხადა კინწურაშვილმა. მისივე ცნობით, მაჟორიტარობის რამდენიმე კანდიდატმა ზოგიერთ საარჩევნო უბანზე კანონის დარღვევით შესვლა სცადა. კინწურაშვილის თქმით, კანონი დაირღვა, როდესაც "ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატებმა თეა წულუკიანმა და კახი კალაძემ საარჩევნო უბანში შესვლა სცადეს, კანონმდებლობით კი მათ მხოლოდ საოლქო კომისიაში მისვლის უფლება ჰქონდათ. კინწურაშვილის თქმით, საარჩევნო უბანზე შესვლა უკანონოდ სცადა ბეჟან გუნავამაც, რომელსაც უბანზე ყოფნის უფლება არ ჰქონდა. საარჩევნო უბანზე შეღწევას ცდილობდნენ ეკა ბესელია, ასევე გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლადო ვარძელაშვილი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველა შემთხვევა აღკვეთა.

უწყებათაშორისი კომისიის ინფორმაციითვე, დარღვევა დაფიქსირდა საჩხერეში. კერძოდ, გარკვეული უბნების ბეჭდები აირია, თუმცა, ეს პრობლემა მალევე მოგვარდა. ამასთან, თამარ კინწურაშვილის განცხადებით, გავრცელდა ინფორმაცია დამკვირვებლების შესახებაც, თითქოს მათ არ ეძლეოდათ საარჩევნო პროცესზე დაკვირვების უფლება, თუმცა, მისი თქმით, ეს არ დასტურდება და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ის დამკვირვებლები, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან, სრული შემადგენლობით აკვირდებიან საარჩევნო პროცესს.

**"ცესკო-ს მონაცემებით, მიმდინარე არჩევნებზე დაფიქსირებულია დამკვირვებელთა უპრეცედენტო რაოდენობა - 63 756. იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც საარჩევნო უბნებზე არ დაუშვეს, ცესკო-ში დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია არ წარუდგენიათ, რაც კანონმდებლობით სავალდებულო მოთხოვნა იყო,"** - განაცხადა კინწურაშვილმა.

მისივე თქმით, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ქართული ოცნების" ერთ-ერთ დამკვირვებელს სცემეს, თუმცა, გადამოწმების და სამედიცინო დასკვნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფიზიკური დაზიანებები მან წინა დღით მიიღო. მისივე თქმით, არსებობს ექიმის დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ დაზიანებები არჩევნებს არ უკავშირდება.

**"როგორც გაირკვა, ამ ადამიანმა დაზიანებები კიბიდან დაგორების შედეგად, არჩევნების წინა დღეს მიიღო. იმედი მაქვს, ყოფითი პრობლემების არჩევნებთან დაკავშირება არ მოხდება და ყველა დაიცავს კანონით დადგენილ ნორმას,"** - განაცხადა კინწურაშვილმა.

უწყებათაშორისი კომისიის ინფორმაციით, მათთან შევიდა ცნობა გარკვეულ უბნებზე პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის ფაქტებზე, გადამოწმების შემდეგ კი დადგინდა, რომ ამას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია და მხოლოდ ცალკეული შემთხვევები დაფიქსირდა. უწყებათაშორის კომისიას ასევე შეატყობინეს, რომ წნორში დევნილები არჩევნებში ვერ მონაწილეობდნენ, თუმცა ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. კინწურაშვილის თქმით, მხოლოდ იმ დევნილებმა ვერ მიიღეს კენჭისყრაში მონაწილეობა, რომლებსაც პირადობის მოწმობები არ ჰქონდათ. მისივე ინფორმაციით, რამდენიმე მედიასაშუალებაში ეგზიტპოლების შედეგები გავიდა, რაც 20.00 საათამდე აკრძალულია.

**"ჩვენ შევახსენებთ მედიასაშუალებებს, რომ საარჩევნო კანონმდებლობა კრძალავს ეგზიტპოლების გამოქვეყნებას 20.00 საათამდე, რადგან ეს შეიძლება, საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციისთვის იყოს გამოყენებული. ამაზე ცეტრალური საარჩევნო კომისია რეაგირებას მოახდენს,"** - განაცხადა კინწურაშვილმა.

# "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა": საარჩევნო პროცესი შეუფერხებლად წარიმართა, თუმცა დაფიქსირდა პროცედურული დარღვევები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში 61 საერთაშორისო და 50 ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდებოდა. მათგან ერთ-ერთია - "ახალი თაობა ახალი ინიციატივა", რომელიც გუშინდელ არჩევნებზე 1 200 დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი. ორგანიზაცია პარალელურად ხმებსაც ითვლიდა, რისი შედეგებიც დღეს იქნება ცნობილი.

როგორც სპეციალურ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის - "ახალი თაობა-ახალი ინიციატივა" აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთევან ჩაჩავამ განაცხადა, საქართველოში საარჩევნო პროცესი შეუფერხებლად წარიმართა, თუმცა დაფიქსირდა პროცედურული დარღვევები. მისი თქმით, დამკვირვებლებს საშუალება არ მიეცათ, დილის 7:00-დან 8:00სთ-მდე უბნების გახსნისთვის თვალ-ყური ედევნებინათ.

**"გაურკვეველი მიზეზებით დამკვირვებლები უბნებზე არ შეუშვეს,"** - აღნიშნა ჩაჩავამ. მისივე თქმით, მარტვილში #3 უბანზე გადასატანი ყუთი და სიები გაიტაცეს, რითიც ხმის მიცემის პროცედურა შეფერხდა. გარდა ამისა, უბნების დიდი ნაწილი დაგვიანებით გაიხსნა. ასევე, რიგ უბნებზე 50-დან 250-მდე ნაკლები ბიულეტენი მიიტანეს.

**"უბნებზე პრობლემები შეიქმნა მარკირების სითხესთან დაკავშირებითაც, როდესაც სითხე სათანადოდ არ ფუნქციონირებდა,"** - განაცხადა ქეთევან ჩაჩავამ და დაამატა, რომ გადასატან ყუთებთან ერთად არ გადაჰქონდათ მარკირების სითხე. მისივე თქმით, სიებში, ძირითადად, არ არიან მოქალაქეები, რომლებიც გადასატანი ყუთის საშუალებით აძლევენ ხმას.

ჩაჩავას განცხადებით, დარღვევა დაფიქსირდა ქუთაისში, სადაც გადასატანი ყუთი ლუქის გარეშე იყო დაბრუნებული. ასევე, საბურთალოს 39-ე ოლქში, სადაც რეგისტრატორმა მეტი ბიულეტენი გასცა და დაფიქსირებული არ იყო ამომრჩევლის ხელმოწერა.

ჩაჩავას ინფორმაციით, დაფიქსირდა რიგი შემთხვევები, როდესაც საჩივრების ოქმი დაგვიანებით შეივსო. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებით, საარჩევნო დარღვევების შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით 20 საჩივარი დაიწერა.

ცნობისათვის, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა-ახალი ინიციატივა" არჩევნების მონიტორინგს საქართველოს 73-ვე ოლქში აწარმოებდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# მიხეილ სააკაშვილი: არჩევნები შედგა

პირველი გვერდიდან

პირველ რიგში, მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას უკლებლივ, ვინც დღეს მიხვედით საარჩევნო უბნებზე, ვინც სრული თავისუფლების პირობებში გამოხატეთ თქვენი პოლიტიკური ნება - როგორც გპირდებოდით - აბსოლუტურად გამჭვირვალე არჩევნებში. ვინც გამოხატეთ თქვენი ხედვა საქართველოს უახლესი და გრძელვადიანი მომავლისა. ჯერჯერობით, საარჩევნო შედეგები იცვლება და ჩვენ დაგვჭირდება კიდევ, მინიმუმ, რამდენიმე საათი, ვიდრე სრული სურათი გამოიკვეთება. მაგრამ უკვე ეგზიტპოლების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ პროპორციულ კენჭისყრაში უპირატესობა კოალიცია "ქართულმა ოცნებამ" მოიპოვა, რაც შეეხება მაჟორიტარულ ოლქებს, იქ, როგორ ჩანს, ასევე მნიშვნელოვანი უპირატესობა საქართველოს "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" აქვს. საქართველოში საარჩევნო სისტემა იმგვარად არის მოწყობილი, რომ პარლამენტში პროპორციულ და მაჟორიტარულ ნაწილში ხმები, დაახლოებით, შუაზე იყოფა. ნახევარზე ცოტა მეტი შემოდის პროპორციულით და თითქმის ნახევარი - მაჟორიტარული ოლქებიდან. ეს იმის გამოა გაკეთებული, რომ ყველა რეგიონი და პატარა რაიონიც კი წარმოდგენილი იყოს თავის ისტორიულ საზღვრებში და პარლამენტსა და მთავრობაში ყველა მოქალაქის ხმა ისმოდეს. საბოლოოდ, ჯერ უნდა დაითვალოს და გაირკვეს - ვის ექნება უმრავლესობა არჩევნებში, მაგრამ დღევანდელი სურათით ნათელია, რომ ყველა შემთხვევაში არჩევნები შედგა. არჩევნების შედეგად, პარლამენტის წევრებმა უნდა დაიკავონ თავიანთი ადგილები და ჩაერთონ დემოკრატიულ პროცესში. ერთი რამ უნდა ითქვას, რომ პროპორციულ ხმებში "ქართული ოცნების" ძირითადი უპირატესობა ეფუძნება საქართველოს დედაქალაქში აღებულ ხმებს. თბილისის გარეთ კი პრაქტიკულად ყველა რეგიონში, ასევე სერიოზული უპირატესობით ლიდერობს "ნაციონალური მოძრაობა". მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვყოფთ ქვეყანას - თბილისად და რეგიონებად. ჩვენ ყველანი ვართ ქართველები და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები. ჩვენ ყველა უნდა დავდგეთ ერთმანეთის გვერდით და არსებული დემოკრატიის პირობებში, ერთად უნდა შევძლოთ მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანია იყო ემოციური, დაძაბული და ხშირ შემთხვევაში ბინძური, ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოს ყველა რეგიონისა და მოქალაქის ინტერესების წარდგენა და დაცვა ახალ პარლამენტში. მე, როგორც პრეზიდენტი, გარანტი ვარ იმისა, რომ ამ პარლამენტის ახალ პარლამენტზე გადასვლა უმტკივნეულოდ და კონსტიტუციის ფარგლებში მოხდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალი პარლამენტი შეძლებს ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებას უახლოესი თვეების განმავლობაში," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

# "ნაციონალები" "მყარ უმრავლესობას" ელიან

პირველი გვერდიდან

როგორც თაქთაქიშვილმა განმარტა, მხარდამჭრერების მოწვევის კამპანია მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და კანონდარღვევას არ წარმოადგენს : **"წელს განსაკუთრებული ზომები მივიღეთ, რათა საზოგადოებას მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეს ამომრჩევლის მოწვევის კამპანიის შესახებ, რაც იმას გულისხმობს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" წინასწარ იდენტიფიცირებულ მხარდამჭერებს მოუწოდებს, მივიდნენ არჩევნებზე და დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია. მსგავსი წესების მიღების საჭიროება ბოლო პერიოდში "ქართული ოცნების" წარმომადგენლების მხრიდან "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერებზე განხორციელებულმა თავდასხმებმა დააყენა."**

დღის მეორე ნახევარში "ნაციონალური მოძრაობის" მედიაცენტრში გაკეთებული განცხადებები, ძირითადად, თბილისსა და რეგიონებში დაფიქსირებულ საარჩევნო დარღვევებს ეხებოდა. დასახელდა კონკრეტული უბნები, სადაც დარღვევები დაფიქსირდა. **"გლდანის საარჩევნო ოლქის 77-ე და 78-ე უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე "ქართული ოცნების" კოორდინატორი ცირა ცხაკაია კენჭისყრის შენობის შესასვლელში აწარმოებდა აგიტაციას და მოწოდებას ნიკოლოზ ხაჩირაშვილის წინააღმდეგ. ასევე დარღვევა დაფიქსირდა ისნის საარჩევნო ოლქის 45-ე უბანზე, სადაც "ქართული ოცნების" აქტივისტები "ნაციონალების" მიკროკოორდინატორებისგან ჩანთებს ითხოვდნენ და შიგ 45-ე უბნის უცნობ სიებს ეძებდნენ, რითიც კოორდინატორების მუშაობას ხელს უშლიდნენ. ამასთან, ისნის საარჩევნო ოლქის 75-ე უბანზე "ქართული ოცნების" აქტივისტები კოალიციის სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდნენ,"** -განაცხადა "ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

"ნაციონალური მოძრაობის" პრესსპიკერის განმარტებით, ვაკის ოლქის მე-11 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე "ქართული ოცნების" მხარდამჭერები ჯგუფურად შეიკრიბნენ და სკანდირებდნენ - "შედეგები ისედაც ცნობილია - "ქართული ოცნება" გაიმარჯვებს". მათ კომისიის წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენეს.

ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებითვე, დაფიქსირდა სიტყვიერი შეურაცხყოფის არაერთი ფაქტიც, მათ შორის - ისნის ოლქის 36-ე საარჩევნო უბანზე "ქართული ოცნების" აქტივისტებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს თამარ მეცხვარიშვილს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტს, რომელიც ამომრჩევლის მოწვევის კამპანიას ახორციელებდა.

"ხმის მიცემის ფარულობის დარღვევები დაფიქსირდა ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის მერვე უბანსა და ბოლნისის 55-ე უბანზე.

საარჩევნო დარღვევები დაფიქსირდა გორშის სოფლებშიც. თაქთაქიშვილის თქმით, გორში, სოფელ დიცის საარჩევნო უბანზე "ქართული ოცნების" წარმომადგენლები აგიტაციას ეწეოდნენ და ამომრჩევლებს მიმართავენ - "თუ არ შემოხაზავთ 41-ს, საქართველოში ომი დაიწყება". **"ბოლნისის 55-ე საარჩევნო უბანზე აგიტაციას ეწეოდა "ქართული ოცნების" სიის 155-ე ნომერი რამიზ ბაქიროვი, მას ჰქონდა დამკვირვებლის ბეიჯი. ერთ-ერთ ამომრჩეველს ის ხმის მიცემის კაბინაშიც კი შეჰყვა. ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიას 70-ე საარჩევნო უბანზე**

**"ქართული ოცნების" შტაბის უფროსმა ფიფიამ სილა გააწნა და შეაფურთხა კომისიის თავმჯდომარე მურმან შეროზიას. იმავე უბანზე კოალიციის აქტივისტები აღრიცხავდნენ ამომრჩეველს და იყენებდნენ სააგიტაციო მასალებს,"** - აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

ეგზიტპოლების პირველი მონაცემების გამოცხადების შემდეგ "ნაციონალური მოძრაობის" სპიკერმა განაცხადა, რომ მათ 53 მაჟორიტარულ ოლქში დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს და პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების ერთობლიობით კვლავ მყარი უმრავლესობით წარდგებიან ახალ პარლამენტში.

**"ეგზიტპოლების მიხედვით, პროპორციული სისტემით შედარებით თანაბარი შედეგები დაფიქსირდა, თუმცა თბილისის გარეთ "ნაციონალურ მოძრაობას" უპირატესობა აქვს. 32-მა პროცენტმა უარი განაცხადა, დაესახელებინა, თუ ვის მისცა ხმა, რაც მნიშვნელოვანი რიცხვია,"** - აღნიშა თაქთაქიშვილმა.

ეგზიტპოლების შედეგები წინასწარია და საბოლოო შედეგებში შესაძლოა, სურათი შეიცვალოს, - განაცხადა მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას.

მისი განმარტებით, გამოქვეყნებული წინასწარი შედეგები ცხადყოფს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" უმრავლესობით შევა პარლამენტში. **"32 პროცენტი, რომელმაც უარი თქვა ეგზიტპოლში მონაწილეობაზე, ამ პროცესში ჩართვაზე თავს იმის გამო იკავებდა, რომ "ქართული ოცნების" კამპანიის ფარგლებში რიგით ამომრჩეველს აფრთხილებდნენ - თუ ვინმე "ნაციონალურ მოძრაობას" მისცემდა ხმას, მას დაიმახსოვრებდნენ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, 32 პროცენტში მყოფ მოქალაქეებს შესაძლოა, არ განეცხადებინათ თავიანთი არჩევანის შესახებ. ჩემი აზრით, ამ 32 პროცენტში უმრავლესობა "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერი იქნება. ეგზიტპოლების საბოლოო შედეგებში საერთო სურათი შეიძლება, შეიცვალოს. სურათი რომც არ შეიცვალოს და აღმოჩნდეს, რომ პარტიული სიებით "ქართული ოცნება" უსწრებს "ნაციონალურ მოძრაობას", მაჟორიტარული ოლქებისა და საერთო სიების შედეგების შეჯამება მყარ გარანტიას მაძლევს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" უმრავლესობაში იქნება და რეფორმატულ კურსს გააგრძელებს, რომელიც თანამედროვე საქართველოს განვითარებაზეა ორიენტირებული,** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას დავით დარჩიაშვილმა.

"24 საათთან" მსგავსი შინაარსის განცხადება გააკეთა აკაკი მინაშვილმაც. მისი განმარტებით, ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" მაჟორიტარულ არჩევნებს აბსოლუტური უმრავლესობით იგებს.

ეგზიტპოლებმა აჩვენა "რაღაც შედეგები", თუმცა საბოლოო შედეგებზე საუბარი ნაადრევია. **"ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჯერ არ დაუფიქსირებია შედეგები და შეჯამება არ გაუკეთებია. ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" მაჟორიტარულ არჩევნებს აბსოლუტური უმრავლესობით იგებს. "ნაციონალური მოძრაობა" იქნება ის პარტია, რომელიც პოლიტიკას განსაზღვრავს. საქართველო გააგრძელებს წინსვლას იმ გამოწვევების დასაძლევად, რომლებიც თითოეულ მოქალაქეს გააჩნია და საქართველო არასდროს დაბრუნდება წარსულში,"** - განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

წინასწარი შედეგები "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალურ ოფისში პარტიის სხვა წევრებმაც შეაფასეს. ნუგზარ წიკლაურის შეფასებით, არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. **"არჩევნების პირველადი შედეგები მოწმობს, რომ შესაძლოა, "ქართული ოცნება"პარლამენტში "ნაციონალებზე" 2-3 პროცენტით მეტი პარტიული მანდატით შევიდეს,** - აცხადებს წიკლაური, თუმცა სრულიად დარწმუნებულია, რომ მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებით ახალი მოწვევის პარლამენტში "ნაციონალები" მყარ უმრავლესობას მოიპოვებენ. **"პარლამენტში "ნაციონალური მოძრაობის" უმრავლესობით მოსვლა იმის გარანტიაა, რომ საქართველო არასდროს დაბრუნდება უკან და დასავლურ კურსს არ გადაუხვევს,"** - ამბობს ნუგზარ წიკლაური.

# "ოცნება" ზეიმობს

პირველი გვერდიდან

მთაწმინდის მაჟორიტარობის კანდიდატ ზაზა პაპუაშვილის თქმით, ხალხმა ოცნება აისრულა. **"მინდა, ჩემს მთაწმინდელებს მივესალმო, ღმერთმა ისე მამსახუროს, რომ ჩემი დანახვა გიხაროდეთ და არ გძულდეთ,"** - მიმართა პაპუაშვილმა ამომრჩევლებს.

"ოცნების" გამარჯვების ზეიმზე მივიდა მომღერალი გია გაჩეჩილაძეც: **"იმ 8 წლიწადის უბედნიერესი დასასრული დადგა. უბედნიერესი ვარ და გილოცავთ".**

**"ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, ვერაფერმა გაგვტეხა, თქვენით ვამაყობ, ჩვენ გავიმარჯვეთ,"** - მიმართა შეკრებილებს რეჟისორმა გიორგი შენგელიამ. გამომსვლელების შემდეგ კი სცენაზე ბერა ივანიშვილი ავიდა და "ოცნების" მხარდამჭერებს გამარჯვების კონცერტი მიუძღვნა. "ქართული ოცნების" გულშემატკივრების ერთი ნაწილი ლიდერების გამოსვლების და კონცერტის დასრულების შემდეგაც დიდხანს დარჩა თავისუფლების მოედანზე, ნაწილი კი გამარჯვების სიხარულის გამოსახატად "ქართული ოცნების" დროშებით შემკული მანქანებით დედაქალაქის ქუჩებს მოეფინა.

## აშშ-ს საელჩო საქართველოში თავის მოქალაქეებს აფრთხილებს

აშშ-ს საელჩო საქართველოში ამერიკის მოქალაქეებს აფრთხილებს, ქვეყანაში შესაძლოა, ასობით ათასიანი აქციები დაიწყოს. საელჩოს ცნობით, ამ ეტაპზე, "ქართული ოცნების" გარდა, სხვა პოლიტიკურ კოალიციას აქციების შესახებ განცხადება არ გაუკეთებია, თუმცა გამორიცხული არ არის, ეს არჩევნების შედეგების გაცხადების შემდეგ მოხდეს.

"აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსალოდნელია მძიმე საცობები. საელჩო მოელის, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი დემონსტრაციები თბილისსა და მთელ საქართველოში გაგრძელდება. არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ დემონსტრაციათაგან რომელიმე ანტიამერიკული ან აშშ-ს საელჩოს საწინააღმდეგო იქნება. ის დემონსტრაციებიც კი, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მშვიდობიანი იყოს, შესაძლოა გახდეს ძალადობრივი და არაპროგნოზირებადი. თქვენ უნდა მოერიდოთ ამ ყველაფერს, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია. იყავით ფხიზლად, ყურადღება მიაქციეთ გარემოს და იმას, რას გადმოსცემს ადგილობრივი მედია," - ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

აშშ-ს საელჩოში განმარტავენ, რომ ასეთი შეტყობინებები პერიოდულად ამერიკის მოქალაქეების გასაფრთხილებლად ვრცელდება. მათივე ინფორმაციით, განცხადებები შეიცავს რჩევას მოქალაქეებისადმი, თავი მოარიდონ ისეთ ადგილებს, სადაც დაგეგმილია თუნდაც მშვიდობიანი აქციები.

## სააკაშვილი საარჩევნო პროცესს რეგიონებში აკვირდებოდა

საქართველოს პრეზიდენტი საარჩევნო პროცესს ქუთაისში, მესტიაში, ამბროლაურსა და ხაშურში აკვირდებოდა. ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, პირველი ოქტომბერი ისტორიული დღეა და ყველაზე დიდი მნიშვნელობა ახლა საზოგადოების აქტიურობას ენიჭება.

საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის განვითარების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ მსოფლიო რუკაზე საქართველო უკვე დამკვიდრდა ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყნად.

რეგიონებში გამგზავრებამდე პრეზიდენტი თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად მთაწმინდის ოლქის 19-ე საარჩევნო უბანზე მივიდა.

"დღეს წყდება იმის ბედი, რომ საქართველომ იაროს წინ და აღარასდროს დაბრუნდეს წარსულში და რომ ჩვენი შვილები გაიზარდონ უკეთეს მომავლში. ქართველი ხალხი ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებდა და დღესაც, როგორც არასდროს, დარწმუნებული ვარ ქართველი ხალხის სიბრძნეში და გონიერებაში, რადგან ეს არჩევნები გავლენას მოახდენს მრავალი შემდეგი თაობის ცხოვრებაზე," - განაცხადა სააკაშვილმა.

## გუბაზ სანიკიძე შედეგების გაყალბებას ხმების დათვლის პროცესში ელის

კოალიცია "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქუთაისში გუბაზ სანიკიძე ეჭვობს, რომ არჩევნების შედეგები შესაძლოა, ხმების დათვლის პროცესში გაყალბდეს.

როგორც სანიკიძემ "ქართული ოცნების" ქუთაისის შტაბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან არსებული ზეწოლისა და საარჩევნო პროცესის ჩაშლის მცდელობის მიუხედავად, წინასწარი შედეგებით "ქართული ოცნება" როგორც მაჟორიტარების, ასევე პარტიული სიებით არჩევნებს იგებს და, სავარაუდოდ, დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, თუმცა გაყალბების საფრთხეები არსებობს და ხმების ბოლომდე დაცვაა საჭირო.

სანიკიძის თქმით, "ქართული ოცნების" შტაბს აქვს ინფორმაცია, რომ "ნაციონალურ მოძრაობას" შემუშავებული აქვს გაყალბების რამდენიმე მეთოდი, რომლის გამოყენებასაც აპირებენ ხმების დათვლის პროცესში. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად სანიკიძემ დაასახელა ყუთების შეცვლა და არ გამორიცხა, რომ წუხელ ღამით ასეთი ფაქტები მომხდარიყო.

## პატრიარქმა "საქართველოს თავისუფლება და წინსვლა" აირჩია

"ხმა მივეცი იმათ, რომლებიც დაიცავს საქართველოს თავისუფლებასა და წინსვლას," - ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გუშინ #4 საარჩევნო უბნიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

ილია მეორე ლესელიძის ქუჩაზე მდებარე საარჩევნო უბანზე რიგით 261-ე ამომრჩეველი იყო.

"დღეს ისტორიული დღეა და ისტორიული არჩევნებია. არსებობს სამი დიდი სიწმინდე: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი საკვირველი სამშობლო და ადამიანი - როგორც უდიდესი ფასეულობა. ხმა მივეცი იმათ, რომლებიც დაიცავენ საქართველოს თავისუფლებას, საქართველოს წინსვლას, დაიცავენ ამ უდიდეს ფასეულობებს. მე იმედი მაქვს, რომ საქართველო დადგება განვითარების გზაზე, საქართველო შეინახავს თავის დიდ ტრადიციებს, ღმერთი იქნება ჩვენი მფარველი," - ბრძანა უწმინდესმა.

# ცესკო კენჭისყრის პროცესით კმაყოფილია

*"დასრულდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის პროცესი. საარჩევნო ადმინისტრაცია მადლობას უხდის ყველა ამომრჩეველს და იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო საარჩევნო პროცესში და თავისი სამოქალაქო აქტიურობით ხელს უწყობდა არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას," - ასე დაასრულა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინდელი კენჭისყრის პროცესი და კიდევ უფრო მნიშვნელოვან ეტაპზე გადავიდა - ამომრჩეველთა ხმების დათვლას შეუდგა.*



არჩევნების დილა ცესკო-ში ამომრჩევლებისადმი მოწოდებით დაიწყეს: **"საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მოგიწოდებთ, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ კენჭისყრის პროცესში,"** ჟურნალისტებს და საზოგადოებას კი დაჰპირდნენ, რომ სისტემატურად მიაწვდიდნენ ინფორმაციას არჩევნების მსვლელობისა და ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ. თავიდანვე გაჟღერდა ისიც, რომ ცესკო-ში 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელი ხაზი 2 51 00 51, ონლაინ ჩატი და ონლაინ ოპერატორი (www.cesko.ge), სადაც ნებისმიერ პირს შეეძლო, არჩევნების დარღვევების შესახებ ცესკო-სთვის ეცნობებინა.

ცესკო-მ საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ ჩატარების პირობა შეასრულა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერმა ეკა აზარაშვილმა გუშინ საგანგებო ბრიფინგი სამჯერ გამართა, რომლებზეც საარჩევნო გარემო შეაფასა. სპიკერი დილით თუ აცხადებდა, რომ არჩევნები **"მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა"**, საღამოს ასეთი შეფასება ჰქონდა: **"საარჩევნო პროცესი განსაკუთრებული ექსცესების გარეშე, სრული გამჭვირვალობის პირობებში მიმდინარეობდა."**

ცესკო-ს მიერ გაჟღერებული ინფორმაციით, გუშინდელი დღე ამომრჩეველთა განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა - 20:00 საათის მონაცემებით, უბნების საერთო რაოდენობის 98 პროცენტის მიხედვით, კენჭისყრაში ამომრჩევლების 61 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. ცხელ ხაზზე, არასრული მონაცემებით, 3607 ზარი შევიდა, რომელთა უმეტესობა არა დარღვევებს, არამედ საარჩევნო პროცედურებს ეხებოდა.

რაც შეეხება დარღვევებს, ცესკო-ში პრეტენზიები რამდენიმე მიმართულებით გაისმოდა: თავიდან პოლიტიკური პარტიები დამკვირვებლებისთვის უფლებების შეზღუდვაზე, საარჩევნო ბიულეტენების სიმცირესა და საარჩევნო სიების გატაცებაზე საუბრობდნენ, ჟურნალისტები მუშაობაში ხელშეშლის ფაქტებს ასახელებდნენ, აქცენტი კეთდებოდა კომისიის წევრების მიმართ ფიზიკურ თუ სიტყვიერ დაპირისპირებებზეც და ა.შ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღშფოთება გამოთქვა მარნეულის მე-80 საარჩევნო უბანზე კომისიის მუშაობაში ერთ-ერთი პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლის ჩარევაზე და მოუწოდა ყველა პარტიის წარმომადგენელს, კომისიის წევრებისთვის ხელი არ შეეშალათ, რათა ამით საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა არ შეეფერხებინათ.

საგანგებო ყურადღება კი ცესკო-მ დამკვირვებლებისა და მედიის რეგისტრაციას დაუთმო.

**"2012 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით: 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის დარეგისტრირებულია 61 საერთაშორისო და 50 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია. აქედან 1 641 საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებელია, 62, 115 კი - ადგილობრივი.**

**75 საერთაშორისო ორგანიზაციიდან 14-ს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციაზე, არასაკმარისი ფინანსური გამჭვირვალობის გამო.**

**საარჩევნო კოდექსის 39-ე და მე-40 მუხლები ადგენს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის რეგისტრაციის პირობებს, მათ შორის ფინანსური წყაროების საჯაროდ წარმოდგენის შესახებ. ზემოაღნიშნულმა 14-მა ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი ინფორმაცია,"** - განმარტა ცესკო-მ და იქვე კიდევ ერთხელ დააზუსტა, 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნებს აკვირდება 1 641 საერთაშორისო და 62, 115 ადგილობრივი დამკვირვებელი, ისევე როგორც 3 295 ჟურნალისტი.

ეკა აზარაშვილი გამოეხმაურა საჩხერის საარჩევნო ოლქის 25-ე და 53-ე უბნებზე რეგისტრატორის ბეჭდების არევის ფაქტს და აღნიშნა, რომ **"კომისია იმსჯელებს ამ საკითხზე, თუ რა გავლენას მოახდენს იგი შედეგებზე."**

მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის ოლქის 16-ე უბნის თავმჯდომარეს დაუდგენელმა პირებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის გამოც იგი ველარ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ცესკო-ს განცხადებით, ამ საარჩევნო უბანში პრობლემა დარეგულირდა. ცესკო-მ მალევე გაავრცელა ინფორმაცია, რომ მარტვილის ოლქის მე-3 უბნიდან გატაცებული საარჩევნო სია დააბრუნეს და ხმის მიცემა იქაც ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

რაც შეეხებოდა ინფორმაციას, რომ ზოგიერთ უბანზე არსებობდა განსხვავება ამომრჩევლებისა და ბიულეტენების რაოდენობას შორის, ამ შემთხვევაში ცესკო-ს სპიკერი საგანგაშოს ვერაფერს ხედავდა, რადგან **"ასეც უნდა იყოს და ეს გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთ ამომრჩეველს აქვს შესაბამისი მინაწერი - იმყოფება საზღვარგარეთ, ჯარშია და ა.შ."**

ეკა აზარაშვილს პასუხი ჰქონდა კოჯრის სამხედრო ნაწილში სამოქალაქო პირების ავტობუსით შეყვანაზეც. მისი განმარტებით; **"სამოქალაქო პირები მართლაც შვიდნენ, მაგრამ ეს მოქალქეები იქ ხმას არ აძლევენ. პროცესს სადამკვირვებლო ორგანიზაციები ადევნებენ თვალყურს."**

ერთი სიტყვით, გუშინ ცესკო-ს შენობაში გაჟღერებულ ამ და სხვა სახის დარღვევების შესახებ განმარტებები ტელევიზიებით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ეკა აზარაშვილს ზოგ შემთხვევებზე კონკრეტული პასუხები ჰქონდა, ზოგზეც ფაქტის გადამოწმებისთვის დროს ითხოვდა. მაგრამ ცესკო-ში შესულ განცხადებებზე რეაგირება ამით არ სრულდება. კანონის თანახმად, ცესკო ვალდებულია, საარჩევნო დარღვევების შესახებ როგორც გუშინ, ასევე შემდგომ დღეებში შესული განცხადებებიც შეისწავლოს და შესაბამისი რეაგირებაც მოახდინოს.

პირველადი შედეგების გამოქვეყნება ცესკო-მ გამთენიისას დაიწყო.

# არჩევნები შესაძლო დარღვევებით

დათო გამისონია

ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით მოწყობილ მედიაცენტრში გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციები პრესკონფერენციებს ლამის საათში 2-ჯერ მართავდნენ. თითოეული მათგანი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბევრ საარჩევნო უბანზე მიტანილი ბიულეტენები და კონვერტები ამომრჩეველთა რაოდენობაზე ნაკლები იყო. სისტემური ხასიათის დარღვევების შესახებ საუბრობდა "მრავალეროვანი საქართველოს" წარმომადგენელი ალექსანდრა კალატოზიშვილი. მისი თქმით, ბევრ საარჩევნო უბანზე საარჩევნო კაბინაში ერთზე მეტი ამომრჩეველი შედიოდა ("მრავალეროვანი საქართველო" არჩევნებს სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, კახეთში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში აკვირდებოდა). ამას ბევრ შემთხვევაში, კალატოზიშვილის განმარტებით, ამომრჩევლის შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობით ხსნიდნენ, თუმცა ამ პირებს გარეგნულად ფიზიკური ნაკლი არ აღენიშნებოდათ. "მაგალითად, ბოლნისის N56-ე უბანზე ხმის მიცემის კაბინაში ამომრჩეველს შეჰყვა პირი, რომელიც მას თითქოსდა ეხმარებოდა," - ამბობს ალექსანდრა კალატოზიშვილი. ის ასევე მიუთითებს, რომ ბოლნისის N45-ე უბანზე ერთ პირს რამდენჯერმე ჰქონდა ხმის მეორედ მიცემის მცდელობა. ახალქალაქის 37-ე საარჩევნო უბნის კენჭისყრის ოთახში კი, როგორც კალატოზიშვილი ამბობს, დაცვის პოლიცია იმყოფებოდა.

დარღვევების დიდი ნაწილი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებს შეეხოთ. თითოეული არასამთავრობო ორგანიზაცია უბნებზე თავიანთი საქმიანობის ხელშეშლის შესახებ მიუთითებდა. ამ თვალსაზრისით "სამართლიანი არჩევნები" გამოირჩეოდა, რომლის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ლომჯარიამ დამკვირვებლების მიმართ გამოხატული აგრესიის შესახებ არაერთხელ აღნიშნა.

კოალიცია "სამოქალაქო განვითარებისთვის", რომელიც გორსა და ქარელში, ასევე სამეგრელოში საოკუპაციო ხაზის მოსაზღვრე სოფლებში გახსნილ საარჩევნო უბნებს აკვირდებოდა, დამკვირვებლების გაძევების შესახებ მიუთითებდა. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელმა კახი კახიშვილმა აღნიშნა, 32-ე საარჩევნო ოლქის 91-ე უბნიდან ორგანიზაციის დამკვირვებლები იმ მიზეზით გააძევეს, რომ მათ აღმოაჩინეს ფაქტი, როდესაც უბანში გარედან სპეციალური კონვერტებით ბიულეტენები შემოიტანეს, სადაც ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტი იყო შემოხაზული. **"უბანში შესული პირი რეგისტრატორის მეშვეობით საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაგდებას ცდილობდა. ჩვენი დამკვირვებელი ამ ფაქტით დაინტერესდა, თუმცა მას სთხოვეს, საჩივარი არ დაეწერა. დამკვირვებელმა საჩივრის დაწერა მაინც გადაწყვიტა და ამიტომ კომისიის 8 წევრმა უბნიდან მის გაძევებას დაუჭირა მხარი. რაც მთავარია, მისი საჩივარიც არ ჩაიბარეს,** - აღნიშნავს კახი კახიშვილი, - **საარჩევნო ოლქის ხელმძღვანელობა ინფორმირებული იყო, თუმცა რეაგირება არ მოახდინეს."**

კახი კახიშვილი ამავე ოლქში გამოვლენილი სხვა ტიპის დარღვევების შესახებაც საუბრობდა. მისი თქმით, მეჯვრისხევში გამგებელი მივიდა, საარჩევნო კომისიის ცენტრში დადგა და განაცხადა, რომ პასუხისმგებელია იმაზე, რომ კომისიაში ვერც ერთი ადამიანი საჩივარს ვერ შეიტანს. **"ეს კაცი ასე იდგა ლენინივით და საჩივრის დაწერის საშუალებას არ იძლეოდა,"** - ამბობს კახი კახიშვილი. **"რა თქმა უნდა, საუბნო საარჩევნო კომისიებში ცოტა საჩივარი შევიდოდა, თუ დამკვირვებლებს საჩივრის დაწერის უფლებას არ მისცემდნენ,"** - აღნიშნავს კახიშვილი.

ერთ-ერთი გავრცელებული დარღვევა, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თამჯდომარე თამარ ჩუგოშვილის თქმით, იყო ის, რომ უბანზე მისულ ამომრჩეველს სიაში თავისი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელმოწერა ხვდებოდა. ჩუგოშვილის ვარაუდით, კონკრეტული ამომრჩევლების ნაცვლად, ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენებით, კენჭისყრაში სხვა პირები მონაწილეობდნენ.

საია-ს ინფორმაციითვე, საარჩევნო უბნების სიახლოვეს გარკვეული პირები არჩევნებზე მისულ ამომრჩევლებს აღრიცხავდნენ. როგორც ჩუგოშვილმა განმარტა, ეს ქმედება ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე ირიბი კონტროლია, რაც მიზანშეწონილი არ არის. **"საია-ს ბევრი მოქალაქე უკავშირდებოდა და ამ ფაქტის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა,"** - აღნიშნავს ჩუგოშვილი.

ჩუგოშვილმა კენჭისყრის დღის შეფასებისას აღნიშნა, რომ გამოვლენილმა რიგმა დარღვევებმა არჩევნების შედეგზე, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა. მაგრამ, როგორც ჩუგოშვილი ამბობს, საია-ს მისია დარღვევების სრული მასშტაბების გამოაშკარავების შესაძლებლობას არ იძლევა. ამიტომ, ჩუგოშვილის თქმით, საია-მ ტენდენციები სწორად გამოკვეთა, თუმცა დარღვევების მასშტაბების შესახებ საუბარი უჭირს. **"დარღვევებმა გავლენა იქონია, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოს მოქალაქეებმა, საბოლოო ჯამში, საკუთარი ნების გამოხატვა შეძლეს,"** - აცხადებს ჩუგოშვილი.

თამარ ჩუგოშვილის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ ამომრჩევლის მიერ დღის განმავლობაში გამოხატული ნება არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში ადეკვატურად და ზუსტად აისახოს. მან მოუწოდა როგორც საარჩევნო კომისიებს, ასევე პოლიტიკური პარტიების და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ყველაფერი ელონათ, რათა ხმის დათვლის პროცედურები მშვიდ ვითარებაში და კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით ჩატარებულიყო.

საია კენჭისყრის დღის შესახებ შემაჯამებელ შეფასებას დღეს გააკეთებს.

# ვენესუელაში არჩევნების წინ სიტუაცია დაიძაბა

სალომე ჯანიაშვილი

100 ათასზე მეტი ადამიანი შეიკრიბა ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში მიტინგზე, რათა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, საკუთარი მხარდაჭერა გამოეხატათ ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის ენრიკე კაპრილესისათვის. პრეზიდენტობის კანდიდატი კაპრილესი აკრიტიკებს პრეზიდენტ უგო ჩავესს, შეუსრულებელი დაპირებების გრძელი სიის გამო.

ის ასევე ითხოვს ოპოზიციის სამი აქტივისტის მკვლელობის გამოძიებას, რომლებიც დაიღუპნენ შაბათს ბარინასის შტატში გამართულ აქციაზე. კარაკასში სიტყვით გამოსვლისას ენრიკე კაპრილესმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მომხრეების ეს შეკრება წარმოადგენს ყველაზე მაშტაბურ აქციას, ქვეყნის ისტორიაში. "ბოლივარის გამზირი საკმაოდ მცირეა ჩვენთვის" - განაცხადა მან. "ჩვენ საუბედუროდ, ცოტა ხნის წინ, ძალადობის შედეგად დაიღუპა სამი ადამიანი. ეს არ უნდა მომხდარიყო. მე მინდა დავარწმუნო მათი ახლობლები და ეს ანგელოზები ზეცაში, რომ 7 ოქტომბერს ჩვენ დავამარცხებთ ძალადობას" - განაცხადა ოპოზიციის კანდიდატმა.

ოპოზიციური პარტიის "სამართლიანობა უპირველეს ყოვლისა"-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ მიტინგი ამჟამინდელი პრეზიდენტის მშობლიურ ქალაქ ბარინასში, უნდა გამართულიყო შაბათს, თუმცა ის ბლოკირებული იყო ხელისუფლების მხარდამჭერების მიერ.

სამ აქტივისტს, რომლებიც აქციაზე მანქანებით მივიდნენ, ცეცხლი გაუხსნეს უცნობმა პირებმა, რომელებიც მიტროავტობუსში ისხდნენ. ვენესუელის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა,რომ დანაშაულში მონაწილე ეჭვმიტანილები დაკავებულები არიან.

პრეზიდენტმა ჩავესმა პირობა დადო, რომ მისი კიდევ ექვსი წლით პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ის გააღრმავებს სოციალიზმს ვენესუელაში. მან თავის მხარდამჭერებს განუცხადა, რომ ვერც კი წარმოუდგენია, რომ არჩევნებს წააგებს. თავის გამოსვლაში მან სინანული გამოთქვა ადამიანების დაღუპვის გამო და მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდა. "ჩვენ არჩევნებზე გავალთ არა ძალადობით, არამედ იდეებით, მშვიდობით, ახალი ხმებით, ამიტომ მოდით არ ავყვეთ პროვოკაციებს" - განაცხადა პრეზიდენტმა.



წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაფიქსირდა ძალადობის სხვა ფაქტებიც. სექტემბრის დასაწყისში, როდესაც ენრიკე კაპრილესი ცდილობდა მარშით ჩაევლო ქვეყნის ქუჩებში, მოხდა კიდევ ერთი ინცინდენტი: ორივე კანდიდატის მხარდამჭერებმა ერთმანეთს ქვები დაუშინეს.

დაახლოებით 30 ოპოზიციურმა პარტიამ მხარი დაუჭირა ენრიკე კაპრალესს, როგორც გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, რომელიც კონკურენციას გაუწევს ამჟამინდელ პრეზიდენტს.

წინასაარჩევნოდ გამართულ მიტინგზე ბარინასის შტატში მოკლეს ოპოზიციის ორი ლიდერი და კიდევ ერთი რიგითი მომიტინგე. ერთ-ერთი დაღუპული არის გისონ ვალერო, რომელიც პარტიის "სამართლიანობა უპირველეს ყოვლისა" აქტივისტია, ხოლო მეორე ომარ ფერნანდესი, რომელიც როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკოსი მხარს უჭერდა ოპოზიციის გაერთიანებას და მათ პრეზიდენტობის კანდიდატს. ზოგიერთი თვითმხილველი ამტკიცებს, რომ მანქანა საიდანაც ცეცხლი გახსნეს ეკუთვნოდა ერთ-ერთ სახელმწიფო ნავთობკომპანია "PDVSA"-ს.

გუშინ ბევრისთვის მოულოდნელი განცხადება გააკეთა უგო ჩავესმა. მან სიმპატია გამოხატა აშშ-ს პრეზიდენტისა და დემოკრატიული პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატის ბარაკ ობამას მიმართ. უგო ჩავესის სიტყვების თანახმად მას რომ შეეძლოს აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, ხმას აუცილებლად ობამას მისცემდა. მისი განცხადებით ობამა "კარგი ბიჭია" და თავის მხრივ მიიჩნევს, რომ ობამაც სწორედ მას დაუჭერდა მხარს, კარაკასის მუშათა უბანში დაბადებული რომ იყოს.

7 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზინდეტო არჩევნებში მონაწილეობას იღებს პრეზინდეტობის 7 პრეტენდენტი, მაგრამ ძირითადი კონკურენცია იქნება უგო ჩავესსა და ენრიკე კაპრილესს შორის, რომელიც როგორც ავღნიშნეთ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატია. გავრცელებული ინფორმაციით მოსახლეობის 48 პროცენტი მხარს უჭერს ჩავესს, ხოლო 32 პროცენტი კაპრილესს. თუმცა განსხვავება ნელ-ნელა კლებულობს. გასულ კვირას კაპრილესმა განაცხადა, რომ ქუჩებში გამოიყვანს ყველა მის მომხრეს, თუ ხელისუფლება არ აღიარებს მის გამარჯვებას. ჩავესი ვენესუელის ხელისუფლებაში 1990 წლიდან არის. გასულ წელს მას კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

# "აზერბაიჯანი, შესაძლოა, ისრაელს დაეხმაროს"

თამთა კახაძე

ირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შეჩერების მიზნით, ისრაელი, უკვე კარგა ხანია, ამ ქვეყნის ბირთვულ ობიექტებზე სამხედრო დარტყმაზე საუბრობს. ამერიკა აღნიშნულ პოზიციას (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე) არ იზიარებს და იმედი აქვს, რომ დიპლომატია და საერთაშორისო სანქციები სასურველ შედეგს მაინც გამოიღებენ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უფრო მოუთმენელი გახდა და გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე გამოსვლისას კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ თეირანის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობასთან დაკავშირებით აუცილებელია "წითელი ხაზების გავლება."

ამერიკა საპეზიდენტო არჩევნებით არის დაკავებული და ამ დროისათვის აქტუალურია კითხვა: ირანზე შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში მარტო იქნება თუ არა ისრაელი?

ანონიმი აზერბაიჯანული წყარო, რომელიც კარგად იცნობს ქვეყნის სამხედრო პოლიტიკას, აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანი ისრაელთან ერთად განიხილავს, თუ როგორ დაეხმარება ეს ქვეყანა სამხედრო ბაზებით ისრაელს ირანზე თავდასხმის შემთხვევაში. თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ბევრს საეჭვოდ მიაჩნია იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი საკუთარ ენერგეტიკულ ინდუსტრიას საფრთხეს არ შეუქმნის და ამ ნაბიჯზე არ წავა. მართალია, ამ გეგმას ისრაელისა და აზერბაიჯანის ოფიციალური პირები უარყოფენ, მაგრამ ყოფილი აზერბაიჯანელი სამხედროები და რუსეთის დაზვერვის წარმომადგენლები "როიტერთან" საუბრისას აღნიშნავენ, რომ ისრაელი და აზერბაიჯანი განიხილავენ, თუ როგორ დაეხმარებიან აზერბაიჯანელები ისრაელს სამხედრო ბაზებითა და დაზვერვით ირანზე თავდასხმის შემთხვევაში. "სად გადაიფრენენ თვითმფრინავები, რა ადგილიდან რა ადგილამდე. ეს იგეგმება ამ ეტაპზე," - აღნიშნავს აზერბაიჯანული წყარო.




ის, რომ ალიევი ისრაელის იშვიათი მუსლიმი მეგობარი გახდა, საიდუმლო არ არის. ცოტა ხნის წინ ამ ქვეყანამ ისრაელისაგან 1,6 მილიონი დოლარის ღირებულების უპილოტო საფრენი აპარატები შეიძინა.

ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ნათლად აჩვენა, რომ ისრაელის მიერ ირანზე დარტყმას არ მიესალმება. სავარაუდოდ, ამერიკა არც აზერბაიჯანის მიერ ისრაელის დახმარებას შეხვდება სიხარულით. აზერბაიჯანის პრეზიდენტის გუნდი ირწმუნება, რომ ეს არ მოხდება: "ვერც ერთი მესამე ქვეყანა ვერ შეძლებს აზერბაიჯანის გამოყენებას, რათა ირანზე თავდასხმა მოახდინოს. ყველა ეს საუბარი მხოლოდ სპეკულაციაა," - აცხადებს ალიევის ადმინისტრაციის წარმომადგენელი რეშად კარიმოვი. რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანმა ირანზე თავდასხმის შემთხვევაში მისი ტერიტორიის გამოყენებაზე უარი აშშ-საც უთხრა.

ბიზნესი

# ალიშერ უსმანოვი ბიზნესიდან წასვლას აპირებს

თინა შავაძე

ამ სათაურით აქვეყნებს "ბი-ბი-სი" სტატიას ალიშერ უსმანოვის შესახებ, რომელიც Forbes-ის ვერსიით, ყველაზე მდიდარი რუსია და მისი ქონება 18,1 მილიარდ დოლარს შეადგენს.

რუსეთის უმდიდრესი ადამიანი ალიშერ უსმანოვი აპირებს, აქტივების კონსოლიდაციის შემდეგ საკუთარი კომპანიის მართვას ჩამოსცილდეს, - ამის შესახებ ბიზნესმენმა Reuters-თან ინტერვიუში განაცხადა.

უსმანოვის თქმით, ნახევარი წლის შემდეგ მისი აქტივები ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში - ფინანსები და ინვესტიციები, ტელეკომუნიკაციები, ინტერნეტი და მედია, სამთო მოპოვება - გაერთიანდება ჰოლდინგში, რომლის წლიური ამონაგები 25 მილიარდი დოლარი იქნება.

ასეთი კომპანიის შექმნის ვადები დამოკიდებული იქნება მოლაპარაკებებზე იმ ბანკებთან, რომლებიც მის კომპანიებზე კრედიტებს გასცემენ. უსმანოვი აცხადებს, რომ გაერთიანებული ჰოლდინგის მართვა არ აინტერესებს.



"სიმართლე გითხრათ, აღარ მსურს ბიზნესის კეთება. თითოეული აქტივი მენეჯერების ცალკეული გუნდების მართვაშია, რომლებსაც აქციონერებისგან დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეთ. მე, როგორც აქციონერს, არ მსურს მართვას ჩავუღრმავდე," - განაცხადა მილიარდერმა.

მანამდე ბიზნესმენი ამბობდა, რომ აქტივები კონსოლიდირებული იქნებოდა USM Holding-ში, რომლის სახელწოდებაც მესაკუთრეების გვარების პირველი ასოების შეერთებით წარმოიქმნა. ეს მესაკუთრეები არიან თავად უსმანოვი, ანდრეი სკოჩი და ფარჰად მოშირი. მათი წილი, შესაბამისად, 50-ს, 30-სა და 10 პროცენტს შეადგენს. კიდევ 10 პროცენტი მენეჯმენტისთვის დარეზერვდება.

უსმანოვის ძირითადი აქტივებია "მეტალოინვესტის" ნახევარი, "მეგაფონის" აქციების საკონტროლო პაკეტი, Mail.ru Group-ის ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტი. ბიზნესმენს ასევე ეკუთვნის Facebook-ის და Groupon è Zynga-ს აქციები.

# საინვესტიციო ბანკებში სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი შემცირდა

თინა შავაძე

სულ უფრო და უფრო იზრდება უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც საინვესტიციო ბანკებში მუშაობის დაწყებაზე უარს აცხადებენ, - წერს Financial Times. მსგავს ტენდენციას MBA-დან მიღებული სტატისტიკა ადასტურებს. პენსილვანიის უნივერსიტეტის Wharton School-ი "Wall Street-ის კონვეიერად" მიიჩნევა. უნივერსიტეტიდან 2011 წელს ბანკებში სამუშაოდ კურსდამთავრებულთა მხოლოდ 16.6 პროცენტი წავიდა, მაშინ როცა 2008 წელს Wall Street-ს ყოველი მეოთხე სტუდენტი ირჩევდა. ახლა ახალბედა სპეციალისტებს კომპანიებში მენეჯერებად მუშაობა ურჩევნიათ. არსებულ ტენდენციაზე Goldman Sachs-მა რეაგირება უკვე მოახდინა. ბანკი დაუბრუნდა ორწლიანი სტაჟირების პროგრამის განხორციელებას, ახლა ის მუდმივ კონტრაქტებს აფორმებს კურსდამთავრებულებთან, რათა ახალი კადრების დეფიციტი არ შეექმნას. გავლენიანი გამოცემის აზრით, კურსდამთავრებულებს ეშინიათ, რომ ამერიკული საინვესტიციო ბანკები სამუშაო ადგილების შემცირების პოლიტიკას გააგრძელებენ და ამიტომ შედარებით, დაბალანაზღაურებადი, მაგრამ სტაბილური სამსახური ურჩევნიათ.

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი




ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი
THE REGIONAL CENTRE FOR RESEARCH AND PROMOTION OF CONSTITUTIONALISM

# სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

**პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში**
**ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი**

# „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

**წაიკითხე⟶შეიმეცნე⟶დაიმახსოვრე**

## ყოველკვირეული რუბრიკა

**უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი**

მუხლი 73
1. საქართველოს პრეზიდენტი:
პ) დაითხოვს პარლამენტს კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით;
ქ) ამოღებულია
რ) პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი - დეკრეტი, რომელიც ძალას კარგავს, თუ ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში არ დაამტკიცებს მას;
ს) 51[1] მუხლის „ა" - „დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პარლამენტის მიერ კონსტიტუციით დადგენილ ვადაში მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და თანხმობა მისცეს მას მინისტრების დანიშვნაზე. ზემოაღნიშნული გარემოებების ამოწურვიდან ერთი თვის განმავლობაში პრეზიდენტი ხელახლა წარუდგენს პარლამენტს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად.
2. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით.
3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს.
4. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან გადააყენებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, სხვა მხედართმთავრებს.
5. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხსა და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.
6. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს გარკვეული რეპრესიული უფლებამოსილებებით საქართველოს პარლამენტის მიმართ. კერძოდ, კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, (ა) პარლამენტის მიერ მთავრობისათვის ნდობის გამოუცხადებლობის ან (ბ) პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობისას, პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. პარლამენტის დათხოვნიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე პრეზიდენტი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე გამოსცეს კანონის ძალის მქონე აქტი - დეკრეტი. პარლამენტის დათხოვნა არ შეიძლება პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში და საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში. პრეზიდენტი აქტიურად მონაწილეობს მთავრობის ფორმირების პროცესში. ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრების, მინისტრების დანიშვნაზე, მთავრობას წარუდგენს პარლამენტს ნდობის მისაღებად და აგრეთვე ახორციელებს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივ ზედამხედველობას. საქართველოს პარლამენტის არჩევნები იმართება პარლამენტის უფლებამოსილების ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში, ხოლო არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნებს ნიშნავს პრეზიდენტი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა. საქართველოს პრეზიდენტი წარადგენს ყოველწლიურ მოხსენებას პარლამენტში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, პასუხობს კითხვებს და მონაწილეობას იღებს დებატებში.

**აკაკი კუხალეიშვილი**
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

მუხლი 74
**1. საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.**
**2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.**
**3. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.**

რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად. რეფერენდუმი ხალხის ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციითა და ორგანული კანონით რეფერენდუმის შესახებ. განასხვავებენ საკონსტიტუციო რეფერენდუმს (კონსტიტუცია, ან მისი გადასინჯვის საკითხი წყდება) და საკანონმდებლო რეფერენდუმს (ამომრჩევლებმა ან უნდა მიიღონ კანონი, ან დაამტკიცონ პარლამენტის მიერ უკვე მიღებული კანონი). ტერიტორიული ფარგლების მიხედვით რეფერენდუმი შეიძლება იყოს საერთოეროვნული (ტარდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) და ადგილობრივი (ტარდება ტერიტორიულ ერთეულში ან ერთეულებში). სავალდებულობის მიხედვით რეფერენდუმი ფაკულტატური ან სავალდებულოა. ფაკულტატურია, როცა საჭიროა შესაბამისი უფლების მქონე სუბიექტების მიერ ინიცირება, ხოლო სავალდებულოა, როცა საკითხის გადაწყვეტა, მაგალითად: კონსტიტუციის მიღება ან გადასინჯვა მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. იმპერატიულია რეფერენდუმი, როდესაც რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, აქვს იურიდიული ძალა და სახელმწიფო ორგანოთათვის სავალდებულოა. საკონსულტაციო რეფერენდუმს უწოდებენ, როდესაც რეფერენდუმზე მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო ორგანოებისათვის ანგარიშგასაწევია, თუმცა არ არის სავალდებულო და ტარდება მხოლოდ ამომრჩეველთა აზრის, პოლიტიკური განწყობის გასაგებად.
საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით, პარლამენტის ან კიდევ არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით კონსტიტუციითა და ორგანული კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. პრეზიდენტისათვის წარდგენილი ინიციატივის კანონშესაბამისობის შემთხვევაში პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის დანიშვნის უფლება უნდა გავაიგივოთ მის ვალდებულებასთან, დანიშნოს რეფერენდუმი. რეფერენდუმს ამზადებს და ატარებს ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია. თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით იქმნება საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი. სწორედ საინიციატივო ჯგუფის ფუნქციაა ხელმოწერების შეგროვება და ამ პროცესს იწყებს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან. საინიციატივო ჯგუფს შეუძლია გამოითხოვოს რეფერენდუმის მოწყობის გადაწყვეტილება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. რეფერენდუმი იმართება არა უადრეს ორი თვისა და არა უგვიანეს ექვსი თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია დაადგინოს რეფერენდუმის გამართვის სხვა ვადაც.
რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც რეფერენდუმის გამართვის დღისათვის შეუსრულდა 18 წელი. რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არ აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, მსჯავრდებულია და რეფერენდუმის გამართვის დღისათვის იმყოფება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. რეფერენდუმში მონაწილეობა თავისუფალია, მოქალაქეების ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია. რეფერენდუმის მოწყობის მატერიალური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.
რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის საქართველოს კანონებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრინციპების შესახებ. რეფერენდუმის მოწყობა არ შეიძლება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო,
საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავს ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.
რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, საბოლოოა და აქვს იურიდიული ძალა. ამ გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შესაძლებელია რეფერენდუმით, ხოლო რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.
რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით რეფერენდუმის შესახებ.

**ვერიკო ლატარია**
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

ქ.ბათუმი, საქართველოს კონსტიტუციის ქ.№26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12: (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

# ტიმოშენკოს ვიდეომიმართვა

პირველი გვერდიდან

ტიმოშენკო თავის განცხადებაში ამბობს, რომ უკრაინას "მაფია" მართავს.

ვიდეომიმართვა, რომელიც შაბათს პარტიის საიტზე განთავსდა, სავარაუდოდ, 28 სექტემბერს უნდა იყოს გადაღებული. გარემო, რომელიც ჩანაწერში ჩანს, გამოიყურება, როგორც საავადმყოფო. ტიმოშენკოს პირდაპირ ერთი ქალი და ერთი კაცი დგანან, რომლებიც სახეს მალავენ. დროდადრო ვიდეოში ისმის რუსულ ენაზე თხოვნა გადაღების შეწყვეტის შესახებ, რომლებიც, სავარაუდოდ, მიმართულია ტიმოშენკოს ადვოკატ სერგეი ვლასენკოს მიმართ. ტიმოშენკოს მთავარი ადვოკატი სერგეი ვლასენკო თან არის მისი გუნდის წარმომადგენელი და უმაღლესი რადას დეპუტატი, შესაბამისად, იმუნიტეტით სარგებობს და ბადრაგის წევრებმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც იულია ტიმოშენკოს პატიმრობა მიუსაჯეს, ეს არის პირველი ვიდეომიმართვა, რომელიც ექსპრემიერმა განახორციელა.

იულია ტიმოშენკო უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს ყოველდღიურ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაში ადანაშაულებს. "ყოველდღე ახდენენ არამხოლოდ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლას, არამედ ყოველი დღე ჩემთვის აქ ჯოჯოხეთია. ეს კეთდება მიზანმიმართულად, შეგნებულად და ეს არის იანუკოვიჩის პირდაპირი გეგმა," - განაცხადა მან.

უკრაინის ოპოზიციის ლიდერის აზრით, დღეს ყველა უკრაინელი კრიმინალურ ქვეყანაში ცხოვრობს, რომელიც იანუკოვიჩმა და მისმა გარემოცვამ ააშენეს. მისი თქმით, ყველა საკუთარი ბედიდან გამომდინარე გრძნობს, რომ კანონი უკრაინაში იგნორირებულია. ექსპრემიერი ქვეყანაში არსებულ რეჟიმს "კრიმინალურ პოლიციურ ქვეყანას" უწოდებს და უკრაინელებს მოუწოდებს, ეს ხელისუფლება 28 ოქტომბრის არჩევნებზე დაამხონ.

ამის პასუხად, უკრაინის სახელმწიფო პენიტენციალური სამსახური გეგმავს, პრემიერმინისტრის ხარკოვის N5 ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხი დააყენოს. უწყების პრესსამსახურის თანახმად, სამშაბათს ამ საკითხს სამედიცინო კომისიის წინაშე დააყენებენ. "პატიმრის არასათანადო მოქცევის, მისი ადვოკატისა და თანაპარტიელების მხრიდან დაცვის რეჟიმის დარღვევების, ასევე, პატიმრის ფიზიკური აქტიურობის მნიშვნელოვანი ზრდის გათვალისწინებით, უკრაინის სახელმწიფო პენიტენციალური სამსახური ამზადებს ოფიციალურ მიმართვას სამედიცინო კომისიისთვის, რომ მათ წარმოგვიდგინონ ახსნა-განმარტება სამომავლოდ ტიმოშენკოს საავადმყოფოში დარჩენის მიზანშეწონილობის ან არამიზანშეუწონლობის საკითხზე," - ნათქვამია პენიტენციური სამსახურის განცხადებაში.

ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტიმოშენკოს არ აძლევდნენ უფლებას, ოპოზიციური კოალიციის წევრებს შეხვედროდა. გავრცელებული ინფორმაციით, ხუთშაბათს დეპუტატები არსენი იაცენიუკი, ალექსანდრ ტურჩინოვი და გრიგორი ნემირა ცდილობდნენ, შეჭრილიყვნენ ხარკოვის კლინიკაში ტიმოშენკოს საკანში, იქ პარტიის შეხვედრის გამართვის მოთხოვნით. თავის მხრივ, ტიმოშენკოც იმუქრებოდა, რომ უარს იტყოდა ყოველგვარ რეაბილიტაციაზე, თუ არ მისცემდნენ ლიდერებთან შეხვედრის საშუალებას.

ბოლოს გავრცელებული ინფორმაციით, კაჩანოვსკის კოლონიის მმართველებმა გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ოპოზიციის ლიდერისთვის გამონაკლისის სახით ნება დაერთოთ, ხანმოკლე (საათ-ნახევრიანი) შეხვედრით ისარგებლოს კოლეგებთან, რომელთა შორის არიან იაცენიუკი, ნემირა და ტურჩინოვი. ამის შესახებ განცხადება გააკეთა სახელმწიფო სასჯელაღსრულების სამსახურის პრესსამსახურმა და ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტიმოშენკო, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ვიდეომიმართვა გაავრცელა, ასეთ ლმობიერ დამოკიდებულებას სრულებით არ იმსახურებდა.

2011 წლის ოქტომბრიდან ტიმოშენკოს მისჯილი აქვს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, 2009 წელს რუსეთთან გაზის შეთანხმების დროს ძალაუფლების გადამეტების ბრალდებით. ის ამჟამად სასჯელს იხდის ხარკოვის ქალთა კოლონიაში, თუმცა მაისის შემდეგ ხარკოვის N5 ცენტრალურ საავადმყოფოში სამკურნალოდ დროებით იმყოფება. 2012 წლის მაისში ხარკოვის რაიონულ სასამართლოს ტიმოშენკოს წინააღმდეგ კიდევ ერთი საქმე გადაეცა, რომელიც 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, "უკრაინის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის" ხელმძღვანელობის დროს მის საქმიანობას ეხება. იგი ეჭვმიტანილია ფინანსურ მაქინაციებში.

# გადავადებული მართლმსაჯულების დღე

ხათუნა ბაბიევი

რუსეთში სკანდალური პანკჯგუფის საკასაციო სასამართლო 10 ოქტომბრისთვის გადაიდო. მანამდე კი, ვიდრე სასამართლო ადვოკატების აპელაციის განხილვის გადადებას გადაწყვეტდა, შენობასთან მრავლად შეიკრიბნენ, როგორც გოგონების მომხრეები, ასევე მათი მოწინააღმდეგეები. ნადეჟდა ტოლოკონიკოვას, მარია ალიოხინასა და ეკატერინე სამუცევიჩის საქმის განხილვის გადადება იმ მიზეზით აიხსნა, რომ ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა უარი განაცხადა ადვოკატის მომსახურებაზე.

სხდომის დაწყებისთანავე ეკატერინა სამუცევიჩმა განაცხადა, რომ მას უთანხმოება აქვს ადვოკატ ვიოლეტა ვოლკოვასთან, მაგრამ კონკრეტული დეტალების გამჟღავნებისგან თავი შეიკავა. პანკჯგუფის წევრმა ასევე არ დაასახელა ახალი წარმომადგენლის ვინაობა. რაც შეეხება ადვოკატებს მარკ ფეიგინს, ნიკოლაი პოლოზოვსა და ვიოლეტა ვოლკოვას, მათ უარი თქვეს სამუცევიჩის გადაწყვეტილების კომენტირებაზე იმ მოტივით, რომ მათ ამის უფლება არ აქვთ. "კანონმდებლობის თანახმად, ეს საკითხი მხოლოდ ადვოკატსა და მის დაცვის ქვეშ მყოფ პირს ეხება", - განაცხადა მარკ ფეიგინმა და იქვე ისიც დაამატა, რომ არ იცის ამიერიდან თუ ვინ დაიცავს სამუცევიჩს. აღსანიშნავია ისიც, რომ ადრე მარკ ფეიგინმა გამოთქვა ვარაუდი იმის თაობაზეც, რომ მავანნი ცდილობენ პანკჯგუფის წევრებში უთანხმოების ჩამოგდებას და არ არის გამორიცხული უარყოფითი გავლენა სამუცევიჩზე "მის გარემოცვას" მოეხდინა.

ეკატერინა სამუცევიჩის განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა მისი ოჯახის წევრებისთვის, მამის სტანისლავ სამუცევიჩის თქმით, მან ქალიშვილის გადაწყვეტილების შესახებ არაფერი იცოდა. "არაფერი ვიცი და ვერ ვხვდები რა ხდება", - განაცხადა სტანისლავ სამუცევიჩმა. გოგონების ადვოკატებისა და მომხრეთა შეფასებით, ეკატერინა სამუცევიჩის გადაწყვეტილებამ შესაძლოა მკვეთრად შეასუსტოს დაცვის პოზიციაც. ის, რომ გოგონებისთვის მკაცრი განაჩენის მისჯის მიუხედავად, რუსულ საზოგადოებაში დაპირისპირება ჯერ კიდევ სერიოზულია, აშკარა გახდა სასამართლოს შენობასთან შეკრებილი განსხვავებული ჯგუფების ფონზე მაგალითზეც. მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ შოუბალეტ "Kazzaки Ltd"-ის წევრები, რომლებმაც სასამართლოსთან ბალაკლავებში გამოწყობილი გასაბერი სექს-თოჯინები მიიტანეს. მათ აქცია გამართეს სახელწოდებით "Россию не надуешь". ისინი მალევე დაშალა პოლიციამ. სასამართლოსთან იყო ასევე შეკრებილი მორმწუნეთა ის სეგმენტი, რომელიც დღემდე მიიჩნევს, რომ გოგონები მეტისმეტად დაინდეს სასამართლოზე და სასჯელად საკმაოდ მცირე ვადა შეუფარდეს. ზოგიერთი მათგანი პანკი გოგონებისთვის 10 წლის ვადით, ზოგიც კი საერთოდ უვადოდ თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა.

თუმცა, საკასაციო სარჩელის განხილვის დათქმულ დღემდე სასამართლოს რუსეთის ეკლესიამ თხოვნით მიმართა გაეთვალისწინებინა "Pussy Riot"-ის წევრების შესაძლო მონანიება. საგანგებო განცხადება რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კვირას გაავრცელა, რომელშიც სასამართლოს სთხოვს უყურადღებოდ არ დატოვოს ჯგუფის წევრების მიერ იმ ტიპის სიტყვები სასამართლოზე, რომელშიც გამოხატული იქნება რამე მონანიების მსგავსი ჩადენილი დანაშაულის გამო. "კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ მსგავსი ქმედებები, რომელიც მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს, განკიცხვას იმსახურებს და დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, როგორც არ უნდა ცდილობდეს მავანი მათ გამართლებას. ასეთი პოზიცია კი ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას აქვს. თუმცა, ვინაიდან სასჯელის მიზანი გამოსწორებაა, იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებულთა სიტყვები მონანიების მსგავსი ელემენტების შემცველი იქნება, სასურველია არ დარჩეს ეს უყურადღებოდ და მათ, ვინც კანონს გადაუხვია მიეცეს საშუალება სწორ გზას დაადგნენ", ნათქვამი იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. როგორც ჩანს, რუსეთის საპატრიარქომ საზოგადოების და მედიის შენიშვნა გაითვალისწინა და განცხადება სასამართლო პროცესის წინ გააკეთა.

"Pussy Riot"-ის წევრებს არჩევნების წინ მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში განხორციელებული აქციის "პანკლოცვის" გამო მისჯილი აქვთ 2 წელი საერთო რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში. მათ ბრალად ედებათ "ხულიგნობა რელიგიური სიძულვილის და შუღლის მოტივებზე". მათ ლოცვაში ღვთისმშობელს პუტინის განდევნა სთხოვეს.

რაიონულ სასამართლოსთან დილიდანვე გამკაცრებული იყო უსაფრთხოების ზომები. შესასვლელთან პატრულირებდა რამდენიმე პოლიციელი, ხოლო ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გაჩერებული იყო პოლიციის რამდენიმე მსუბუქი ავტომობილი და ავტობუსი.

საკასაციო სასამართლოს სხდომის გადადების შემდეგ შენობასთან შეკრებილ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აქციას არც დაკავებების გარეშე ჩაუვლია. პოლიციამ ათამდე პირი დააკავა, რომელთა უმრავლესობა "Pussy Riot"-ის მომხრეა.

# სირიის ქალაქებში გააფთრებული ბრძოლებია

## სამოქალაქო ომს ალეპოს ისტორიული კვარტლებიც შეეწირა

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

ბრძოლა პრეზიდენტ ბაშარ ასადის მიმართ ლოიალურ არმიასა და ამბოხებულებს შორის გააფთრებით მიმდინარეობს რამდენიმე სირიის ქალაქში, მათ შორის ყველაზე დიდ - ალეპოში. ბრძოლებით გამოწვეულმა ხანძარმა შთანთქა ქალაქის ისტორიული უბანი, რომელშიც დღემდე შემონახული იყო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული სავაჭრო კვარტალი.

ალეპოს ძველ ქალაქში იყო ქვის თაღოვანი რიგების ლაბირინთი, სადაც განლაგებული იყო შუა საუკუნეებიდან არსებული მაღაზიები, და სახლები ამოკვეთილი ხის ფასადებით. ქალაქის ეს ნაწილი შედის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. იუნესკოს წარმომადგენლებმა ძველი ქალაქისთვის მიყენებული ზარალი ტრაგედიად შეაფასეს. ხანძარი ალეპოს ამ უბანში გამოიწვია გააფთრებულმა ბრძოლებმა. ცეცხლი ძველ უბანს მოეკიდა პარასკევს დღის პირველ ნახევარში და შაბათსაც გაგრძელდა. განადგურდა 700-დან 1000 მაღაზიამდე, და დანარჩენებიც საფრთხეშია.

მანამდე, ხუთშაბათს გადამწყვეტი ბრძოლა ქალაქისთვის დაიწყეს ამბოხებულებმა. შაბათს ბრძოლები ახალი ძალით განახლდა ქალაქის რამდენიმე უბანში, მათ შორის სამხედრო ბაზა ნეირაბთან და აგრეთე კვარტალ ბაბ ანტაკიაში. ეს უბანი მდებარეობს ქვის ალაყაფთან რომელიც ძველი ქალაქისკენ მიდის. ბრძოლა მიმდინარეობდა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში კვარტალ სალახედინშიც, რომელიც ამბოხებულების დასაყრდენად მიიჩნევა.

სირიის სახელმწიფო ტელეარხები გადმოსცემენ, რომ ქალაქის დაახლოებით ათ წერტილში უტევენ "ტერორისტებს" და სერიოზული ზიანიც მიაყენეს. დასავლელი ჟურნალისტების ცნობით კი ვერცერთი მხარე ვერ ახერხებს უპირატესობის მოპოვებას. აშკარად ჩანს, რომ ამბოხებულებს არ ყოფნით არც ხალხი და არც იარაღი. ბრძოლების გამო ხალხი მასობრივად ტოვებს ქალაქს.

სერიოზული დაპირისპირებაა ჰამაშიც. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა "სი-ენ-ენ"-თან საუბარში აღნიშნეს, რომ სირიის უსაფრთხოების ძალები ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს საცხოვრებელი ადგილების დატოვებისკენ მოუწოდებენ, რის შემდეგაც ამ ქალაქის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას გაანადგურებენ. მძიმე ტექნიკა ქალაქში უკვე შეყვანილია. ჰამაში დაახლოებით 30 000 ადამიანი ცხოვრობს და ეს ადგილი ოპოზიციის ცენტრადაც მოიზარება. "მათ ძირფესიანად უკვე გაანადგურეს 30 შენობა," - აღნიშნა ქალაქის მცხოვრებმა ოსამაჰმა.

ჰამას მიმდებარე ტერიტორია "იმ მშვიდობიანი მოსახლეობისა და შეაირაღებული მებრძოლების" მთავარ თავშეყრის ადგილს წარმოადგენს, რომლებიც პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს ეწინააღმდეგებიან. ქვეყნის სახელმწიფო არხები კი აცხადებენ, რომ ეს ადგილი "ტერორისტების მასობრივი თავშეყრის ადგილია, რომლებიც ჰამას მოსახლეობას უქმნიან საფრთხეს." როგორც აცხადებენ, ამ ადგილებში უსაფრთხოების ძალებმა დიდი რაოდენობით იარაღი აღმოაჩინეს. ჩვენმა მკითხვლემა კარგად იცის, რომ მთავრობა ანტი-სამთავრობო ძალებს ხშირად მოიხსენიებს "ტერორისტებად."

"უსაფრთხოების ძალებმა მძიმე შეიარაღების გამოყენება სხვადასხვა პოზიციების დასაბომბად უკვე დაიწყეს. აქ ყველაზე ღარიბი ხალხი ცხოვრობს. უსაფრთხოების ძალები მათ სახლებს განურჩევლად ბომბავს" - აღნიშნავს ადგილობრივი მოსახლე აბდალა. ზოგიერთი თვითმხილველი აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების ძალები კარდაკარ დადიან და მოსახლეობას სახლების დატოვებისაკკენ მოუწოდებენ: "მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საკუთარი სახლი დატოვა. მათი ნაწილი მეზობელ რაიონებში გადავიდა. ზოგიერთს კვლავ ქუჩაში სძინავს და მხოლოდ მცირე ნაწილია სახლში დარჩენილი."-აღნიშნავს აბდალა.

ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ანტი-სამთავრობო განწყობა მათ შორის კიდევ უფრო გაიზარდა: "მთავრობას სურს რომ ოპოზიციის აქტივისტებისადმი მხარდაჭერა მეშა ალარბეანის მიწასთან გასწორებით შეასუსტოს, თუმცა ამით ხალხის კიდევ უფრო გაბრაზებას იწვევენ" - აცხადებს ადგილობრივი მოსახლე ოსაჰამი.

სხვადასხვა მონაცემებით 2011 წლის მარტში დაწყებულ კონფლიქტს ამ დროისათვის 27 000-დან 30 000-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პანარაბულ ტელეარხ "ალ არაბიას" ხელში ჩაუვარდა სირიული საიდუმლო დოკუმენტები, რომლის ჩვენებასაც ის ნელ-ნელა ორი კვირის განმავლობაში აპირებს. პირველი გადაცემა მიუძღვნეს სირიელების მიერ ჩამოგდებულ თურქულ სამხედრო თვითმფრინავს. ეს ინციდენტი ივნისში მოხდა და დიდი რეზონანსი გამოიწვია. "ალ არაბიას" მონაცემებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ამ საქმეში სირიელებს რუსები ეხმარებოდნენ. თუმცა ამის შესახებ ადრეც ვრცელდებოდა დაუდასტურებელი ცნობები და ეს ცნობილია "24 საათის" მკითხველისთვის. "ალ არაბია" ამტკიცებს, რომ თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ პილოტები არ დაღუპულან, არამედ ტყვედ ჩავარდნენ და სირიელებმა ისინი შემდეგ დახოცეს რუსების რჩევით თუ მითითებით. გვამები შემდეგ "მიაგდეს" თვითმფრინავის ჩამოვარდნის არეალში.

# დაკარგული ალეპო

სოფიო ნემსაძე



ალეპოში, სახელისუფლებო სამხედრო ძალებისა და ამბოხებულების შეტაკების დროს სრულიად განადგურდა შუა საუკუნეების ბაზარი, რომელსაც როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს იუნესკო იცავს. ძეგლის განადგურების შესახებ BBC News-ი იუწყება.

ქალაქის ძველ უბანში არსებული უძველესი ბაზრის განადგურების მიზეზი გახლდათ ხანძარი, რომელის ჩაქრობაც რამდენიმე დღე და ღამე ვერ მოახერხეს. ხანძრის მიზეზი კი გამწვავებული სროლები იყო, რასაც დაპირისპირებული მხარეები ავტომატებითა და ბომბდამშენებით ახორციელებდნენ.

იუნესკოს დირექტორი, კოშორე რაო აღნიშნულ მოვლენას შემდეგნაირად გამოეხმაურა "ეს არის სირიისთვის უზარმაზარი დანაკარგი და ძალიან დიდი ტრაგედია".

ძველი ქალაქი წარმოადგენს მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების ნაგებობათა კომპლექსს. სირიაში ომის დაწყებამდე ალეპოს ეს ნაწილი გახლდათ ტურისტებისთვის ყველაზე მიმზიდველ ღირშესანიშნაობას. იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ძველი ალეპო 1986 წელს შეიტანა.

სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მომხრეებისა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება 2011 წლის მარტიდან მიმდინარეობს. ოფიციალური ინფორმაციით ამ ხნის განმავლობაში სირიაში 27 ათასი ადამიანი დაიღუპა.

ამ მონაცემების ფორზე რად ღირს კულტურული მემკვიდრეობა და იუნესკოს შეშფოთება. სჯაბაასის მიუხედავად, მსოფლიო ეგუება იმ ფაქტს, რომ პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ათასობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ძველი ალეპოსა და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების გაქრობა როგორც მოვლენა წლების შემდეგ იქნება როგორც გარდაცვლილი ადამიანების უხილავი მემორიალი. სწორედ ისე, როგორც ერაყში. სადაც მსოფლიოში ფასეულობა-ინტერესთა გადაფასებამ იმსხვერპლა ათასობით უნიკალური ძეგლი. მათ შესახებ დღეს ძალიან რბილად საუბრობენ ისევ არტისტები და კულტუროლოგები. თუმცა მეხსიერება და ისტორიული სამართლიანობის განცდა პირობითი საკითხია და იმის მიხედვით მწვავდება თუ როგორია მსოფლიო პოლიტიკური ძირითადი ვექტორები.

საერთაშორისო კონვენციები და წესები იქამდეა საინტერესო, ვიდრე პოლიტიკური ინტერესები პირების, პარტიებისა და ქვეყნების არ გაშიშვლდება და ვიდრე მათი ვნება საზოგადოებებს მწვავე დაპირისპირებამდე არ მიიყვანს.

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA120024658**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს უზენაესი სასამართლო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 28.09.2012 21:24 |
| წინადადებების მიღება იწყება | 03.10.2012 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 05.10.2012 14:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 4500 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 45400000-შენობის მოწყობის სამუშაოები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 45410000-მოპირკეთება, 45421000-სადურგლო სამუშაოები, 45421130-კარებებისა და ფანჯრების ჩასმა, 45442100-შეღებვა, 45442180-სარემონტო სამუშაოები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღე |

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA120024656**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს მთავრობის კანცელარია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 28.09.2012 20:52 |
| წინადადებების მიღება იწყება | 17.10.2012 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 22.10.2012 13:30 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 5050 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 30213100-პორტატული/სატარებელი კომპიუტერები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. ტექნიკური დავალება |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების დადებიდან 2 კვირაში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 75 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 51 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA120024654**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 28.09.2012 19:49 |
| წინადადებების მიღება იწყება | 03.10.2012 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 05.10.2012 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 56000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 38600000-ოპტიკური ხელსაწყოები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 38652100-პროექტორები, 38653400-პროექტორის ეკრანები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ დოკუმენტაციაში |
| მოწოდების ვადა | 25 კალენდარული დღე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 300 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 560 ლარი |

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA120024657**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს მთავრობის კანცელარია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 28.09.2012 21:01 |
| წინადადებების მიღება იწყება | 03.10.2012 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 05.10.2012 13:30 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 1350 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 32200000-რადიო-ტელეფონის, რადიო-ტელეგრაფის, რადიო-მაუწყებლობის და სატელევიზიო გადამცემი აპარატურა |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 32250000-მობილური ტელეფონები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. ტექნიკური დავალება |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების დადებიდან 7 დღეში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 15 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 14 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA120024655**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს მთავრობის კანცელარია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 28.09.2012 20:49 |
| წინადადებების მიღება იწყება | 17.10.2012 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 22.10.2012 13:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 24050 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 30213100-პორტატული/სატარებელი კომპიუტერები, 30213300-მაგიდის კომპიუტერები, 30232100-პრინტერები და პლოტერები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. ტექნიკური დავალება |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების დადებიდან 7 სამუშაო დღეში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 250 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 241 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA120024659**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 29.09.2012 03:40 |
| წინადადებების მიღება იწყება | 02.10.2012 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 04.10.2012 13:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 4000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 44200000-სტრუქტურული მასალები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 44200000-სტრუქტურული მასალები, 44221200-კარებები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | სატ. დოკ. შესაბამისად |
| მოწოდების ვადა | შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 30 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 40 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

# თი მაკი: "სკამზე ჯდომით საჩემპიონო ბეჭდის მოგება არ მინდა"

2000-იანი წლების NBA-ს ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავი ტრეისი მაკგრეიდი ან, უბრალოდ, თი მაკი ჟურნალისტებს "ატლანტა ჰოუქსის" მწვრთნელთან არსებულ უთანხმოებაზე, კარიერის მანძილზე განცდილ წარუმატებლობებსა და მომავალ გეგმებზე ესაუბრა.

**- როგორ მიდის სეზონისთვის მზადების პროცესი?**

- სტანდარტულ რეჟიმში. ვცდილობ დავხვეწო თითოეული სათამაშო კომპონენტი და შემდეგ ყველაფერი შევაჯამო. ახალი არაფერია. უბრალოდ, მიმდინარეობს ჩვეულებრივი საწვრთნელი პროცესი. ჩემთვის სასიამოვნოა სეზონისთვის მზადება, რადგან წინა ორი სეზონი ტრავმების გამო თითქმის გამიცდა.

**- თქვენი სათამაშო კარიერის უკანასკნელი წლები, ცოტა არ იყოს, უფერული გამოდგა. მოკლე პერიოდი "ნიუ იორკში", შემდეგ - "დეტროიტში" და "ატლანტაში". ალბათ ძნელია შეეგუო მეორეხარისხოვანი კალათბურთელის როლს მას შემდეგ, რაც რეგულარულად თამაშობდით ყველა ვარსკვლავის მატჩში და ორ სეზონში საუკეთესო სნაიპერიც გახდით.**

- ეს ყველაზე საუკეთესო კალათბურთელებსაც კი ემართებათ. ერთადერთი, რაც დაგრჩენია, ვითარება ისე უნდა მიიღო, როგორც არის. აგერ უკვე 15 სეზონია ლიგაში ვარ და არასერიოზული იქნებოდა, თუ ვიტყოდი, რომ ახლა იმავე დონეზე ვთამაშობ, როგორც კარიერის დასაწყისში "ორლანდოსა" და "ჰიუსტონში". დიახ, არსებობენ გამონაკლისები, მაგალითად, ბრაიანტი, თუმცა, მის მიმართ უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ მას არასდროს ჰქონია ისეთი ტრავმები, როგორიც მე მქონდა. ზურგის ტრავმამ ჩემი შესაძლებლობები შეამცირა, თუმცა, კარიერა მაინც არ დავასრულე და გუნდისთვის სარგებლის მოტანა ჯერ კიდევ შემიძლია.

**- სწორედ ამას ეუბნებოდით "ატლანტას" მწვრთნელ ლარი დრიუს, არა?**

- დიახ. ვიცი, რომ ზოგიერთი კომენტარის დროს თავს ვერ ვიკავებდი. "ატლანტაში" ფულისთვის არ მივსულვარ. ვეტერანისთვის განკუთვნილ მინიმალურ ხელფასზე ვთამაშობდი. ერთადერთი, რაც მინდოდა, ყველა თამაშში მოედანზე გასვლა იყო. "ჰოუქსში" არსებული ატმოსფერო ძალიან მომეწონა. ამ გუნდის კალათბურთელებზეც კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. ვიცი, რომ გუნდის დახმარება შემიძლია. თავს ცუდად რომ ვგრძნობდე, კარიერას დავასრულებდი. იცით, შესაძლოა, მწვრთნელს მე არ ვჭირდებოდი. მაშინ პირდაპირ და კაცურად ეთქვა, არ მჭირდები და სხვა გუნდი მონახეო. ამის ნაცვლად, დრიუ ხმას არ იღებდა და მთელი სეზონი სკამზე გამატარებინა. ეს ძალიან საწყენია.

**- ალბათ, ძნელია, როცა თავს გუნდის ლიდერად ვერ გრძნობ...**

- ის, რაც "ატლანტაში" მოხდა, მთლიანად მწვრთნელის ბრალია. კონკრეტულად ამ შემთხვევაში უბრალოდ იმედგაცრუებული ვარ. ნამდვილად ძნელი მაშინ იყო, როდესაც პირველი ტრავმა მივიღე. მაშინ ძალიან ვნერვიულობდი და განვიცდიდი. თუმცა, მერე მაინც დავმშვიდდი.



ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინი

**- "ჰიუსტონში" გატარებულ პერიოდს რომ იხსენებთ, იმედგაცრუება არ გეუფლებათ?**

- რა თქმა უნდა, ვინაიდან მე და იაო მინი ერთმანეთს იდეალურად ვავსებდით. ჩვენ მშვენიერი ტანდემი შევქმენით. სამწუხაროდ, ამისგან არაფერი გამოვიდა. ვფიქრობ, 2009 წელი ჩვენთვის განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. მეოთხედფინალში შვიდი მატჩის ჯამში "ლეიკერსთან" დავმარცხდით. სწორედ მაშინ მივიღეთ მე და იაომ ტრავმები. არ მინდა ვთქვა, რომ არ გაგვიმართლა. უბრალოდ, რაღაც არ გამოგვივიდა, ისევე როგორც "ორლანდოში".

**- რას გულისხმობთ?**

- ეს არის აზრი, რომელიც მიჩნდება, როცა "მაიამის" თამაშს ვუყურებ. ჩვენ ხომ 2004-შიც შეგვეძლო იგივეს გაკეთება, თანაც, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. სწორედ მაშინ გამცვალეს და გამიშვეს "როკეტსში". არადა, რომ დავრჩენილიყავი, თავად განსაჯეთ, რა მოხდებოდა. "მეჯიკმა" დრაფტით დუაიტ ჰოვარდი აიყვანა და გრანტ ჰილიც გამოჯანმრთელდა. ჩვენ სამნი იდეალურ ტრიოს შავქმნიდით. მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა, როცა "მაიამის" ვუყურებ, თეთრი შურით მშურს ამ გუნდის.

**- ახლა თქვენი გადაბირებით "სან ანტონიო", "ჩიკაგო" და "ნიუ იორკი" არიან დაინტერესებული, კლუბები, რომლებსაც ჩემპიონობის ამბიცია აქვთ.**

- დიახ, მაგრამ ახლა ჩემთვის ეს არც ისე მნიშვნელოვანია. ის კაცი არ ვარ, რომელიც სკამზე იჯდება, რათა მუქთად მოიპოვოს ჩემპიონის ბეჭედი. ადრე ვგრძნობდი, რომ გუნდის ჩემპიონად გახდომაში უდიდესი წვლილის შეტანა შემეძლო, ვიცოდი, რომ თავად შემეძლო გუნდი გამეჩემპიონებინა, ახლა კი სულ სხვა ვითარებაა. ახლ მინდა მოვნახო გუნდი, რომელშიც თავს ისე ვიგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში და რომელშიც საჭირო ვიქნები.

**- გაზაფხულზე თქვით, რომ კიდევ ხუთი წელი აპირებთ თამაშს...**

- ვითამაშებ მანამ, სანამ იქ, ზემოთ, არ გადაწყდება, რომ დროა თამაშს თავი დავანებო. ჯერჯერობით თავს კარგად ვგრძნობ. რა იქნება შემდეგ, არ ვიცი.

**- უკვე იცით, რას გააკეთებთ კარიერის დასრულების შემდეგ?**

- ბიზნესში მაქვს ფული ჩადებული. საერთოდ, ბიზნესის სფერო მიტაცებს. ერთი რამ ზუსტად ვიცი: ტელევიზიაში კომენტატორად არ წავალ. იქ უკვე ყველაფერი შაკმა და ბარკლიმ დაიკავეს.

# სტადიონი - გამარჯვების გარანტი

მსოფლიო ფეხბურთში არსებობს სტადიონები, რომლებიც მათი მფლობელი გუნდებისთვის ნამდვილი ციხესიმაგრეა, სტადიონები, რემლებზეც სტუმარი გუნდებისთვის მოგება ძალიან ძნელია. თანამედროვე ფეხბურთში ნელ-ნელა ქრება საკუთარი მოედნის უპირატესობის ცნება, თუმცა, ეს არ ეხება ზოგიერთ სტადიონს. ახლა სწორედ ასეთ სპორტულ არენებზე გავამახვილებთ ყურადღებას. რა თქმა უნდა, გარკვეული კრიტერიუმები აქაც არსებობს. ჩვენ მხოლოდ ისეთ სტადიონებზე შევჩერდებით, რომლებზეც მასპინძელ გუნდებს ყოველ გამართულ ას მატჩზე მოგების 70 პროცენტზე მეტი აქვთ (ფრედ დამთავრებული ორი მატჩი ერთ მოგებად ითვლება).

## "თურქ ტელეკომ არენა" ("ალი სამი იენი")

**მაჩვენებლები:** 63 მოგება, 20 ფრე (10 მოგება), 17 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 73

ვისაც შეუბიჯებია "გალათასარაის" სტადიონზე, მიხვდება, თუ რას ნიშნავს იქ თამაში. ატმოსფერო იმდენად დამუხტულია, რომ მეტოქე გუნდი ხშირად დათრგუნვილი თამაშობს. "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში" - ეს წარწერა ამშვენებს "ალი სამი იენს" და "გალათასარაის" მტოქეებისთვის სტადიონი მართლაც ნამდვილი ჯოჯოხეთია.

## "სურქუ სარაქოგლუ"

**მაჩვენებლები:** 71 მოგება, 20 ფრე (10 მოგება), 9 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 81

"ფენერბახჩე" სტამბოლის დიდი სამეულის ერთ-ერთი წარმომადგენელია და, ცხადია, სტადიონიც სათანადო აქვს. სტატისტიკა უტყუარია: "ფენერის" დამარცხება საკუთარ სტადიონზე თითქმის შეუძლებელია.

## "ცრვენა ზვეზდა სტადიუმი" ("მარაკანა")

**მაჩვენებლები:** 75 მოგება, 11 ფრე (5.5 მოგება), 14 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 80.5

იმას, რაც ბელგრადულ "მარაკანაზე" "ცრვენა ზვეზდას" თამაშებზე ხდება, სიტყვით ვერ აღწერ. ბელგრადული კლუბის "ულტრასები" ნებისმიერ გუნდს უმწარებენ "მარაკანაზე" სტუმრობას.

## "სინალ იდუნა პარკი" ("ვესტფალენშტადიონი")

**მაჩვენებლები:** 61 მოგება, 26 ფრე (13 მოგება), 13 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 74

უკანასკნელ პერიოდში დორტმუნდის "ბორუსიამ" ორჯერ მოიგო ბუნდესლიგის გათამაშება და ამდენჯერვე - გერმანიის თასი. დორტმუნდული კლუბის წარმატების მთავარი საწინდარი სწორედ საშინაო სტადიონი და შინ მოგებული თამაშებია.

## "სელტიკ პარკი" ("პარკჰედი")

**მაჩვენებლები:** 72 მოგება, 18 ფრე (9 მოგება), 10 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 81

ყველამ იცის, რომ "სელტიკის" ფანები საკუთარ სტადიონზე იდეალურ საფეხბურთო ატმოსფეროს ქმნიან. შოტლანდიური მასშტაბებით ყოველთვის ძლიერი "სელტიკი" კი თავის მოედანზე ევროპული გრანდებისთვისაც ანგარიშგასაწევი ძალაა.

## "აიბროქსი"

**მაჩვენებლები:** 66 მოგება, 19 ფრე (9.5 მოგება), 15 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 75.5

სადაც "სელტიკია", იქვეა "რეინჯერსიც". "აიბროქსი" "პარკჰედს" არაფრით ჩამოუვარდება. ეს ორი სტადიონი განსაკუთრებით შთამბეჭდავი სანახავია, როდესაც ეგრეთ წოდებული "ოლდ ფირმი" ანუ გლაზგოური დერბი იმართება.

## "სან პაოლო"

**მაჩვენებლები:** 60 მოგება, 27 ფრე (13.5 მოგება), 13 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 73.5

ბრაზილიური გრანდი "სან პაულო" თავის სტადიონზე თითქმის არ აგებს. ბრაზილიური ტორსიდას შესახებ ლეგენდები დადის და არც "სან პაულოს" ფანები არიან გამონაკლისი.

## ოლიმპიური სტადიონი (ათენი)

**მაჩვენებლები (მხედველობაში მიღებულია მხოლოდ 50 თამაში) :** 33 მოგება, 9 ფრე (4.5 მოგება), 8 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 75

## აეკის სტადიონი

**(მხედველობაში მიღებულია მხოლოდ 50 თამაში):** 27 მოგება, 13 ფრე (6.5 მოგება), 10 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 67

ორი ათენური გრანდი გავაერთიანეთ. მართალია, ათენის ოლიმპიურ სტადიონს უკეთესი მაჩვენებლები აქვს, მაგრამ ფანების სიგიჟით ალბათ "აეკის" სტდიონი უფრო წინ უნდა დავაყენოთ. ერთი რამ ფაქტია: საბერძნეთში ჩასვლა და ბერძნულ სტადიონებზე ბერძნული გუნდების წინააღმდეგ თამაში მაინცდამაინც არავის უხარია.

## "ტოუმბა"

**მაჩვენებლები:** 66 მოგება, 14 ფრე (7 მოგება), 20 მარცხი



"კამპ ნოუ"

**მოგებათა პროცენტი:** 73

ბერძნულ სტადიონებზე საუბრისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით სალონიკის "პაოკის" არენას, რომელიც თავის ათენურ კოლეგებს არაფრით ჩამოუვარდება.

**"გეორგიოს კარაისკაკისი"**

**მაჩვენებლები:** 79 მოგება, 11 ფრე (5.5 მოგება), 10 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 74.5

რასაკვირველია, უნდა აღვნიშნოთ პირეოსის "ოლიმპიაკოსიც", რომლის სტადიონი მაჩვენებლებით ყველა დანარჩენ ბურძნულ სტადიონს აღემატება, თუმცა, ამაში, შესაძლოა, თავად "ოლიმპიაკოსის" დამსახურებაცაა, რომელიც უკანასკნელ ხანს კონკურენტებზე უკეთ თამაშობს.

## "ამსტერდამ არენა"

**მაჩვენებლები:** 71 მოგება,18 ფრე (9 მოგება), 11 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 80

"აიაქსი" "ერედივიზიონის" ტოპ კლუბია და ჰოლანდიის ჩემპიონატში იშვიათად აგებს საკუთარ სტადიონზე. ამიტომ მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალი აქვს.

## "ფილიპს არენა"

**მაჩვენებლები:** 75 მოგება, 18 ფრე (9 მოგება), 7 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 84

ზუსტად იგივე შეგვიძლია გავიმეოროთ პსვ-ს სტადიონზეც. ჰოლანდიელი გულშემატკივარი განსაკუთრებული აგრესიულობით არასდროს გამოირჩევა, თუმცა, საყვარელი გუნდის თამაშებზე სტადიონზე საოცარ ატმოსფეროს ქმნიან.

## "ალიანც არენა"

**მაჩვენებლები:** 78 მოგება, 11 ფრე (5.5 მოგება), 11 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 83.5

მიუნხენის "ბაიერნი" არა მარტო გერმანიაში, არამედ ევროპაშიც დომინირებს. "ალიანც არენაზე" ქულის აღება მადრიდის "რეალსაც" უჭირს. გარდა იმისა, რომ ეს სტადიონი სტუმარი გუნდისთვის მეტად რთულია, ამავე დროს "ალიანც არენა" მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სტადიონია.

## "უაით ჰართ ლეინი"

**მაჩვენებლები:** 63 მოგება, 26 ფრე (13 მოგება), 11 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 76

შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: "ტოტენჰემი" თავის სტადიონზე ძალიან მაღალ დონეზე თამაშობს. "დეზებმა" ეს არა მარტო შიდა ბრიტანულ ასპარეზზე, არამედ ევროპაშიც დაამტკიცეს.

## "სტემფორდ ბრიჯი"

**მაჩვენებლები:** 73 მოგება, 14 ფრე (7 მოგება), 13 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 80

"ჩელსის" წარმატებულ მატჩთა სერია "სტემფორდ ბრიჯზე" ჟოზე მოურინიოს ეპოქაში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მოურინიოს პერიოდში ლონდონური კლუბი საერთოდ არ აგებდა "სტემფორდ ბრიჯზე".

## "ოლდ ტრაფორდი"

**მაჩვენებლები:** 79 მოგება, 11 ფრე (5.5 მოგება), 10 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 84.5

"ოლდ ტრაფორდი" "მანჩესტერისთვის" სახლიც არის, ციხესიმაგრეც და სიამაყეც. ამ სტადიონზე თამაში ყველასთვის დიდი პატივია. "მანჩესტერი" "ოლდ ტრაფორდზე" იშვიათად მარცხდება. გუნდი, რომელიც ამ სტადიონზე გამარჯვებას ახერხებს, ისტორიაშიც კი შედის.

## "კამპ ნოუ"

**მაჩვენებლები:** 83 მოგება, 11 ფრე (5.5 მოგება), 6 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 88.5

ამ შემთხვევაში ალბათ მთლად სწორი არ იქნება სტადიონზე საუბარი. ძნელია თავად "ბარსელონას" წინააღმდეგ თამაში და არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სტადიონზე ეთამაშები "ბარსას". ცხადია, საკუთარ კედლებში კატალონიური გრანდი კიდევ უფრო მრისხანეა, თუმცა, თუ სტადიონზე ვისაუბრებთ, "კამპ ნოუზე" აკადემიური ატმოსფერო სუფევს და ტრიბუნების მხრიდან მეტოქე გუნდზე განსაკუთრებული ზეწოლა არ იგრძნობა, ცხადია, თუ ეს მეტოქე "რეალი" არ არის.

## "სანტიაგო ბერნაბეუ"

**მაჩვენებლები:** 82 მოგება, 6 ფრე (3 მოგება), 12 მარცხი

**მოგებათა პროცენტი:** 85

ყველაფერი ის, რაც "ბარსელონაზე" ვითქვით, შეგვიძლია "რეალზეც" გავიმეოროთ. "სანტიაგო ბერნაბეუს" განსაკუთრებული მაგია "რეალს" გამარჯვების მოპოვებაში დიდად არ ეხმარება. "რეალი" ისედაც ადვილად იგებს.

[illegible] № SPA120024660

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | [illegible] |
| [illegible] | 29.09.2012 18:33 |
| [illegible] | 02.10.2012 00:00 |
| [illegible] | 04.10.2012 15:00 |
| [illegible] | 3500 ლარი |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] (CPV) [illegible] | 30100000 [illegible] |
| [illegible] (CPV) [illegible] | 30100000 [illegible], 30125100 [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] 2013 [illegible] 1 [illegible] |
| [illegible] | 35 ლარი |
| [illegible] | 35 ლარი |

[illegible] www.procurement.gov.ge

# ახალი ვიქტორი

ზურაბ თალაკვაძე

"სიენა" შეიცვალა. სპონსორებმა ძველი ბიჭების და ახალი მოთამაშეების ხელფასებზე ცოტა ნაკლები ფინანსები ჩამოყარეს და ორი მაგარი კაცი, ბო მაკალები და დევიდ ანდერსენი კარგ კუშს სხვაგან მოხსნიან. "სიენა" ევროლიგაზეა. "სიენა" სხვა დონეზეა და გუნდმა, სადღაც უნდა მოუმატოს. ვიქტორ სანიკიძეც მოუმატებს. იტალიურ გარჩევებში "სიენამ" მეორე თამაშიც მოიგო. გასვლაზე, "რეჯო ემილიასთან" 61:56. სანიკიძემ 4 ქულა, 6 მოხსნა წამოიღო. საკმარისი იყო.

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე "სიენა" 49:48 იგებს. არაფავორიტმა ერთხელ თითქმის ბოლომდე აქაჩა. არგენტინელმა დემიან ფილოიმ საშუალო ხია და "სიენა" სიმბოლურად, 51:50 იგებს. და მერე ჩემპიონის 5 ქულა წამოვიდა. დენი ჰეკეტის პასით სამიანი გაუშვა კრისტიან კანგურმა. ესტონელი ბოლო მეოთხედში ხუთქულიანია. ჰეკეტის კიდევ ერთი დაიმით (მოკლე პასი) აგდებს ბობი ბრაუნი და უკვე 56:50. გრეგ ბრუნერმა მინუს ოთხამდე მიიყვანა "რეჯო ემილია" და კიდევ ერთი სამიანი წამოვიდა. ჰეკეტის მესამე პასით. ტომას რესმა 59:52 დასვა და დარჩენილ დროში "სიენამ" დაცვით მოაგვარა პრობლემები და პრობლემები იყო. ალბათ, ჯერ იქნება. ახალი გუნდი ახალ კალათბურთს ეჩვევა და მთელ ამ პროცესს ახალი ბიჭებით იწყებს. მაკალების და ანდერსენის, რიმანტას კაუკენასის გარეშე მაგარი რთულია.

სანიკიძე ბოლო მეოთხედში ისვენებს. ხდება ხოლმე. ვიკა სხვა ბოლო მეოთხედებში შეუბერავს. ჩვენმა ბიჭმა თამაში პირველ ხუთეულში დაიწყო და 18 წუთი მიიღო. მერე მეტს მიიღებს და მეტში მეტს მოასწრებს. 2/1 საშუალო ათიანში გაუშვა, ორივე საჯარიმო გამოიყენა და მეტი არ უსვრია. ვიკასთან ერთად გუნდს -9 აქვს და ეს თემაც შეიცვლება, გამოსწორდება.


ვიქტორ სანიკიძემ ბოლო ტესტში 4 ქულა და 6 მოხსნა აიღო

სანიკიძე ძველ გუნდში სოლირებდა, თითქმის ყველა გარჩევაში ემვიპი იყო. "სიენა" ცოტა სხვა დონეა და ვიკაც შეეჩვევა სიტუაციას. უკეთესი გუნდი, უკეთესი დამზღვევები, უკეთესი მსროლელები. "სიენაში" არ არის პეტერი კოპონენი და ვიკა ამას შეეჩვევა.

"სიენამ" ცუდად გაუშვა სამიანები - 22/7 (31.8 %). "სიენამ" უარესად გააშვებინა სამიანები "რეჯო ემილიას" - 18/4 (22.2).

"სიენამ" მოიგო გამოცდილებით და უკეთესი პერსონაჟებით.

"რეჯო ემილიაში" არ არის ბობი ბრაუნი, რომელმაც ამ ტესტში 13 ქულა აკრიფა და ჩემპიონატი 18 ქულით გახსნა.

"რეჯო ემილიაში" არ არის ბენჟამინ ეზე. ვლადიმერ ბოისას ნაცნობი ცენტრი საჭირო ტიპია. ეზე ტურნირს 12+11 მოხსნით იწყებს. აქ, 20 წუთში 7 ქულა წამოიღო.

"რეჯო ემილიაში" არ არის კრისტიან კანგური. ესტონელი კარგი იყო ბოლო საკვალიფიკაციოში, ევრობასკეტის ვიზები სადაც უნდა აეღო. სერბებთან, მონტენეგროს სერიოზულ ბანდასთან და ომრი კასპის ახლობლებთან. კანგური საშუალოდ 13.3 ქულას, 5.0 მოხსნას, 2.7 პასს და 1.0 ჩაჭრას იღებდა.

"რეჯო ემილიაში" არ არის დევიდ მოსი. "სიენას" ძველი ბიჭებიდან ერთ-ერთი, ვინც დარჩა და თავის უბანში მშვიდად გრძნობს თავს. გამოვა, დაცვაში ჩაგიჯდება, ხელს შეგიშლის, კუთხეში დაგაყენებს და თავის 7-8 ქულასაც ჩაუშვებს პენალში. მოსი ბოსია.

"რეჯო ემილიაში" არ არის დენი ჰეკეტი. ახალ იტალიაში ჰეკეტი დატვირთული იქნება. ევრობასკეტის შესარჩევში დენიმ 8.0 ქულა, 2.4 მოხსნა, 1.9 პასი დასვა. დენიმ საქმე იცის, სანდო ახალგაზრდაა (25).

"რეჯო ემილიაში" არ არის ვიქტორ სანიკიძეც. ვიკას შარშან არარეალურად მაგარი სეზონი ჰქონდა და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ჯოკერი Human Highlight Film არის. იგივე მეტსახელი ადრე ატლანტაში ერთ მუქ პერსონას მიარტყეს. იმ ახალგაზრდას ერქვა დომინიკი და დომინიკის გვარი იყო უილკინსი, რომელიც ბერდებს და ჯორდანებს პრობლემებს უქმნიდა. რომელიც ლეგენდაა. დომინიკი ყველაფერს ასწრებდა. სლემი, დაფარება, დაზღვევა, სადისტური დაცვა - სანიკიძეში ეს კომპონენტები დიდი დოზით არის.

"სიენა" შეიცვალა. სპონსორებმა ძველი ბიჭების და ახალი მოთამაშეების ხელფასებზე ცოტა ნაკლები ფინანსები ჩამოყარეს და ორი მაგარი კაცი, ბო მაკალები და დევიდ ანდერსენი კარგ კუშს სხვაგან მოხსნიან. "სიენა" ევროლიგაზეა. იქ ფრანგულ "შალონს", პოლონურ "პროკომს", სტაბილურ "უნიკახას", ბერლინის "ალბას" და დევიდ ბლატის "მაკაბის" დაელაპარაკება. "მაკაბიში" გიორგი შერმადინია. საინტერესო საუბარი წავა. "სიენა" სხვა დონეზეა და გუნდმა სადღაც, ძალიან მალე უნდა მოუმატოს. ვიქტორ სანიკიძეც მოუმატებს. სხვა ვარიანტი არ რჩება.

# მონაკოს სენდვიჩი

ალექსანდრე ასათიანი

ჩოგბურთში არგენტინა ხუან მარტინ დელ პოტროს შარმი და ქარიზმაა. დელ პოტროზე არგენტინაში მაგარი არგენტინელები დადიან. ხუან მარტინზე ღრიალებს და შავ კეპს ღეჭავს დიეგო მარადონა. მარტინ პალერმო დელ პოტროს მეგობარი გოგონას მეგობარია და ტრიბუნაზე ისვენებს. პალერმოს დელ პოტროს თამაშებზე გამოძინების და ღრიალის დრო აქვს. მარტინი მარვია. და დელ პოტრო პატარა არგენტინული სამოთხეა. იქვე დგას დავიდ ნალბანდიანი. ძველი, კარგი არგენტინელი, რომელიც ადრე რეიტინგში მესამე იყო. ჩვენი ბიჭი კარგი ფორჰენდით და რამდენიმე საკაიფო, გასახსენებელი გარჩევით. ნალბანდიანი უიმბლდონის ფინალში იყო. დელ პოტროს ამერიკულ სლემის ფინალში როჯერ ფედერერი შემოელახა. დავიდი უკვე წამსვლელია და ჯერ იცდის, ბოლო ტალღას უცდის, რომ ერთხელაც წაუსერფინგოს. ხუან მონაკო წელს ძალიან კარგია. იგებს მოსაგებს, აგებს წასაგებს და თუ გაქაჩავს, მასტერსის თასზე შევა. დელ პოტრო იქ ასიანი იქნება (თუ არ აილეწა) და არგენტინამ ლონდონში უნდა გაადავოს. მონაკომ ამ სეზონში მეოთხე ტურნირი მოიგო (ერთეულებში). კუალა ლუმპურშის ფინალში ბიჭმა ჟულიენ ბენეტო 7:5, 4:6, 6:3 დაამშვიდა.

მონაკო მალაიზიაში მეორე ნომერია. მეორე განთესვით და პირველი - ფინალში. რეალური პირველი ნომერი, სენიორ დავიდ ფერერი ბენეტომ აჭრა (6:4, 6:1) ნახევარფინალში. მონაკო-ფერერი არ გამოვიდა და ფინალმა წამოიღო. მონაკოს საბანკო ანგარიშზე 153 440 დოლარი დაუსვეს. 28 წლის ცელქმა ტიპმა 250 სარეიტინგო ქულაც აიღო. არაჩვეულებრივია. სეზონის ბოლოს ყველა ქულა ბონუსია. ბენეტო ტურნირის მეშვიდე ნომერი იყო. წელს ჟულიენიც მაგარი გემრიელია. ბენეტოს ერთეულებში 25 მოგება აქვს. 20 წაგებულ ტესტთან ერთად. ბენეტოსთვის თითქმის ჰაილაითია.

მონაკო ფინალს ცუდად იწყებს. ბენეტომ აილო საკუთარი გეიმი, წაართვა გეიმი ფავორიტს და ფავორიტივით გაიზმორა. მონაკომ მეორე გეიმში ოთხი ბრეიქ პოინტი ვერ გამოიყენა, ინერვიულა, ცოტა მერე აკრიფა. ხუანი არგენტინამ დაამშვიდა. იმ, მეორე გეიმის შემდეგ, მონაკომ ჩაჭრა გემრიელი ფუნთუშა, ბეკონის ორი ნაჭერი ჩადო, ჩიზიც მიაფინა, მაიონეზის მიასხა და ბენეტოც სენდვიჩში ჩაუშვა. გემრიელი რაღაც გამოვიდა. ხუანმა სენდვიჩი ჩაკბიჩა და მოეწონა.

არგენტინელი არ არის უნივერსალი. მონაკო ერთი საფარის ტიპია. ძალიან კარგია გრუნტზე, ნორმალური - ჰარდზე და არასტაბილური - ნებისმიერ სწრაფ საფარზე. კუალა ლუმპურში ჰარდი იყო. და მონაკომ ოთხი გასაუბრება გაიარა.

ჩვენი ბიჭი თავისუფალია პირველ წრეში და ტურნირს ჯიმი ვანთან სპარინგით, 6:4, 7:5 ხსნის. მონაკომ სამჯერ დაკარგა საკუთარი ჩაწოდება, ექვსჯერ მიაბრეიქა ვანი და ორ სეტში სამი ეისი დაირტყა. ნორმალური სტარტი.

ვაშეკ პოსპიშილი რეიტინგში უკან (122) ზის. ბიჭი კანადაში ცხოვრობს, მილოშ რაონიჩთან ერთად ვარჯიშობს და წელს უკვე 4 თამაშის მოგება მოასწრო. პოსპიშილი ქულებს ჩელენჯერებზე აგროვებს. 193 სანტიმეტრში ბევრი აგრესია არის. ბიჭი უკეთესი იქნება. კუალა ლუმპურში უკეთესი მონაკო იყო - 6:3, 6:4. პირველი მთქმელი, სერიოზული ტიპი არგენტინელისთვის შემდეგი წრიდან წამოვიდა.


ხუან მონაკომ კუალა ლუმპურის ტურნირი მოიგო

რესპექტაბელური, მოძრავი კეი ნიშიკორი - აკირა კუროსავას საჩოგბურთო პერსონაჟი და მაგარი ჯიუტი სამურაი. ჯერ ხარაკირიზე არ ფიქრობს. ჯერ ყველაფერი მშვენივრად მიდის და იაპონელმა მონაკო თითქმის გადაჭრა. გაცვლილი სეტების (6:2 ხუანს, 6:2 კეის) შემდეგ იწყება ტაი ბრეიქი და იქ მონაკო იაპონელზე ნაკლებ იაღლიშს უშვებს. 7:4, არგენტინელის. მოდის ფინალი.

პირველი გეიმები გავიარეთ. არგენტინელი იბრუნებს ბრეიქს, 2:2. მონაკომ კიდევ ერთი ბრეიქი დასვა და უკვე 5:3 აქვს. თავისი სეტ პოინტებით და აჭრილი ჟულიენით. ბენეტო აზრზე მოდის, მონაკო კარგავს გეიმს და წავიდა კიბორგების გარჩევა უკანა ხაზიდან. მეთორმეტე გეიმში ათჯერ იყო თანაბარი, ფრანგმა 4 სეტ პოინტიც გადაარჩინა და გეიმი, სეტი მაინც მონაკომ დაიტოვა. 81 წუთში, 7:5. კლასიკური მაზოხიზმი, დე სადის ელემენტებით.

**მონაკო**: "ჟულიენი ორჯერ დაბრუნდა თამაშში. ჯერ პირველ სეტში. მოიგო მეორე სეტიც. დავიღალე. მესამე სეტში ნაკლები შეცდომით და მეტი აგრესიით უნდა მეთამაშა. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი კარგად მორჩა. კარგი სეზონი გამოვიდა. და სეზონი ჯერ არ დასრულებულა. კუალა ლუმპურში აუცილებლად დავბრუნდები. აქ გაასწორა."

ბენეტო ერთეულებში ფინალს ჯერ ვერ იგებს. შვიდი ფინალი, შვიდი წაგებული გარჩევა და 30 წლის ფრანგი შემდეგ შანსს დაელოდება. შანსი იქნება. ბენეტო ამ შანსს იმსახურებს. ჟულიენმა ერთეულებში 199 ტურნირი შეაგროვა. ფინალი რომ მოეგო, ბენეტო ერთი კარგი კაცის, ავსტრალიელი უეინ არტურსის შედეგს გაიმეორებდა. შვიდი წლის წინ, 33 წლის არტურსმა კარიერაში პირველი ტურნირი (სკოტსდეილი) მოიგო. ბენეტო კიდევ ერთი ასაკოვანი (30+) ჩემპიონი-დებიუტანტი იქნებოდა. არგენტინელმა ეს ამბავი გადადო. ბენეტომ კუალა ლუმპურიდან 80 185 დოლარი წამოიღო. ნორმალური კუშია. 150 სარეიტინგო ქულაც წავა. იანვარში ჟულიენმა სიდნეის ფინალი ფინელ იარკო ნიემინენთან წააგო 2:6, 5:7.

მონაკო (28), რომელსაც 16 ფინალიდან 7 აქვს მოგებული, ამ კვირაში ტოკიოში ჩადის. არგენტინელმა ამ სეზონში მოხსნა ჯეკპოტი ვინია დელ მარზე (ფინალში უგებს კიდევ ერთ არგენტინელს, კარლოს ბერლოკს 6:3, 6:7, 6:1), ჰიუსტონში (მაღალ ობამელ ჯონი იზნერთან 6:2, 3:6, 6:3) და ჰამბურგში (ჰამბურგელ ტომი ჰაასს 7:5, 6:4 დაუსვა). მონაკოს სივი ამ სეზონში - 37:15. ბენეტოსთან ხუანმა 6 ეისი აკრიფა.

დელ პოტრო არგენტინაა. ნალბანდიანი - წამსვლელი ჯონა ჰექსი. მონაკო - სენდვიჩების დეგუსტატორი.

### ATP. წლევანდელი რეიტინგი
### Race to London

**1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) ..................9 910***
**2(2). როჯერ ფედერერი (შვეიცარია) ...........8 920***
**3(3). რაფაელ ნადალი (ესპანეთი) .................6 840***
**4(4). ენდი მარი (დიდი ბრიტანეთი)...............6 730***
5(5). დავიდ ფერერი (ესპანეთი) ........................4 780
6(6). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) ..3 820
7(7). ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) ...........................3 720
8(8). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) ........2 905
9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი).................2 720
10(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) ............2 415
11(12). რიშარ გასკე (საფრანგეთი)..................2 325
**11(13). ხუან მონაკო (არგენტინა)..................2 325**
13(11). ჯონ იზნერი (აშშ)...................................2 250
14(14). მილოშ რაონიჩი (კანადა) ......................1 990
15(15). მარინ ჩილიჩი (ხორვატია) ....................1 970
16(17). ჟილ სიმონი (საფრანგეთი) ...................1 760
17(16). ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია).........1 715
18(18). სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)........1 615
19(19). ტომი ჰაასი (გერმანია) ..........................1 476
20(20). ალექს დოლგოპოლოვი (უკრაინა)........1 475
21(21). ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი).........1 390
22(22). სემ ქუერი (აშშ) ......................................1 310
23(23). მარდი ფიში (აშშ).....................................1 255
23(23). ანდრეას სეპი (იტალია)..........................1 255
25(26). კეი ნიშიკორი (იაპონია) .........................1 240
26(25). მიხაილ იუჟნი (რუსეთი)..........................1 225
27(27). მარტინ კლიჟანი (სლოვაკეთი) .............1 120
28(28). ენდი როდიკი (აშშ)..................................1 095
29(29). ჟერემი შარდი (საფრანგეთი) ................ 1063
**30(37). ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) ..........1 005**
*** - ითამაშებს ლონდონში, მასტერსის თასზე**

### WTA. წლევანდელი რეიტინგი
### Road to Istanbul

**1. ვიქტორია აზარენკა (ბელორუსი) .............8 911**
2. მარია შარაპოვა (რუსეთი) ...........................8 415
3. სერენა უილიამსი (აშშ)..................................7 900
4. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)..................6 915
5. ანგელიკ კერბერი (გერმანია) ........................5 350
6. პატრა კვიტოვა (ჩეხეთი)...............................5 310
7. სარა ერანი (იტალია) .....................................4 975
8. ნა ლი (ჩინეთი) ..............................................4 277
9. სამანტა სტოსური (ავსტრალია) ...................3 965
10. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)................3 410
11. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) .....................3 320
12. ნადია პეტროვა (რუსეთი) ...........................2 750
13. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)..........2 510
14. ანა ივანოვიჩი (სერბეთი).............................2 493
15. რობერტა ვინჩი (იტალია).............................2 465
16. მარია კირილენკო (რუსეთი).........................2 340
17. ლუსი საფაროვა (ჩეხეთი) ...........................2 180
18. კაია კანეპი (ესტონეთი) ..............................1 929
19. ვარვარა ლეფჩენკო (აშშ) ...........................1 769
20. ჯულია გიორგესი (გერმანია) .......................1 765
21. ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი)....................1 762
22. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) ........................1 731
23. იანინა ვიკმაიერი (ბელგია) ........................1 705
24. სორანა კირსტეა (რუმინეთი) .......................1 555
25. ურსულა რადვანსკა (პოლონეთი)...............1 540
26. მონა ბარტელი (გერმანია) ..........................1 481
27. ჟი ჟენი (ჩინეთი) ...........................................1 478
28. კრისტინა მაქჰეილი (აშშ)............................1 447
29. კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი).....................1 446
30. ტამირა პაშეკი (ავსტრია) ...........................1 444

## პროსტმა ფორმულა 1 გაიხსენა



ლეგენდარულმა ფრანგმა მრბოლმა ალენ პროსტმა ახალგაზრდობა გაიხსენა - ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს მიუჯდა. მსოფლიო ოთხგზის (1985, 1986, 1989, 1993) ყოფილმა ჩემპიონმა პოლ რიკარის ავტოდრომზე "რედ ბულის" RB6 ბოლიდით საჩვენებელი რბოლა მოაწყო.

ისე, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც პროსტი მონაწილეობს საჩვენებელ რბოლებში, მაგრამ თუ აქამდე საკოლექციო მანქანების მართვით იქცევდა თავს, დღეს ვეტერანი ფრანგი თანამედროვე მანქანის საჭეს მიუჯდა, რომელსაც 1996 წლის შემდეგ არ გაკარებია. მაშინ, თექვსმეტი წლის წინათ, ალენმა "მაკლარენის" ტესტებში მიიღო მონაწილეობა. ზოგადად კი კარიერას წერტილი დაუსვა 1993 წლის ავსტრალიის დიდი პრიზით.

"ადრე სხვადასხვა საჯინიბოთა წინადადებეს შემეძლო დავთანხმებოდი, მაგრამ ამის სურვილი არ გამჩენია. ახლა კი ვიფიქრე, რომ ცუდი არ იქნებოდა ფორმულა 1-ის თანამედროვე მანქანის შესაძლებლობები გამომეცადა', - გადაწყვეტილებით კმაყოფილი ჩანს ალენ პროსტი.

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი აღიარებს იმასაც, რომ უცნობი მანქანის აგრესიულად მართვას არ აპირებდა. ჩემი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ შემექმნა შთაბეჭდილება იმაზე თუ როგორ ვითარდება ბოლო წლებში სამეფო რბოლებიო. "მესმის, რომ სრულ სიჩქარეს ვერ განვავითარებდი. თანამედროვე ფორმულა 1-ის მანქანაზე შთაბეჭდილების შესაქმნელად ისიც საკმარისი იყო ჩემთვის, რაც გავაკეთე.

ბოლიდი ადრეულისგან ბევრად არ განსხვავდება. მხოლოდ ტექნიკის შესაძლებლობები გამოიყენება სხვაგვარად. მანქანა მეტად ხისტია და მასთან შეჩვევაა საჭირო. თუ თანამედროვე ავტომანქანის საჭეს არ მიუჯექი, ისე მისი წინამორბედებთან შედარება შეუძებელია. ერთი სიტყვით, მეტად ვისიამოვნე".

***გიგა გურასაშვილი***

## კიევური მედლების ტორტი თავისუფლებისგან



*მარსაგიშვილი კიევში საუკეთესო აღმოჩნდა*

### პირველი გვერდიდან

თუშიშვილმა სპორტული კარიერა დაასრულაა, გოგშელიძეს ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება, მოძმანაშვილმა კი ვარჯიშზე ფეხი იტკინა და იძულებით მოუხდა შინ დარჩენა.

საქართველოს ნაკრებიდან, რომელსაც უკრაინის დედაქალაქში უძლიერესი შემადგენლობით ჩასვლა სომხურმა სათვისტომომ სთხოვა, ყველაზე უკეთ გამოვიდა ლონდონის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და ევროპის ჩემპიონი დავით მარსაგიშვილი (84 კგ.) - მან ოქროს მედალი მოიპოვა.

ლონდონის ოლიმპიური და ევროპული ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60 კგ.) და ელიზბარ ოდიკაძე (96 კგ.) ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, ხოლო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი დავით ხუციშვილი (74 კგ.) მესამე ადგილზე გავიდა.

ერთადერთი, ვინც კიევის ხალიჩაზე მედლამდე ვერ მივიდა, გენო პეტრიაშვილია - ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლს ფეხი დაუცდა და ჩასათვლელ მეხუთეზე ადგილზე აღმოჩნდა.

ხინჩეგაშვილმა პირველად იასპარეზა 60 კილოგრამში, სადაც საბოლოოდ გადავიდა.

ოდიკაძემ, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის, გიორგი გოგშელიძის რეალურ შემცვლელად ითვლება, წინა კვირას ბაქოში "ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირი მოიგო და ახლაც ახლოს იყო ოქროს მედალთან, მაგრამ ფინალში დამარცხდა.

კიევური ტურნირი მსუყე საპრიზო ფონდითაც გამოირჩეოდა, რომელთა მნიშ[ნელოვანი ნაწილიც ქართველ ფალავნებზეც გადანაწილდა. საპრიზოს სახით ტურნირის გამარჯვებულებს 10 000-10 000 აშშ დოლარი გადაეცათ, მეორეზე გასულებს - 5000-5000, მესამეზე მყოფთ კი 2000-2000.

